# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№162 (9993) 2025 წლის 8 დეკემბერი, ორშაბათი


## ავადმყოფი აკაკუკები!




იხ. 2 გვ.

## ქართველთ განიხარეს:



კოტე ჩახუნაშვილი

## ურთიერთსიძულვილის ახალი წყარო პოვეს!..




## მავნებლობას საზღვარი არ აქვს!

იხ. 4 გვ.

„მეგობრების“ შავი გალერეა



6 7

## ჩვენი საერო კულტურის გვირგვინი

ავალორძინოთ საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ მზითვად გატანების ტრადიცია



იხ. 7 გვ.

მილოცვები ბატონ რონინ მეტრეველს!

## უკრაინა ისევ ცეცხლს ეთამაშება!



იხ. 8 გვ.

ქართული ხასიათები



9



არა ოდენ **ტყვირში ყვირის** მამა-შვილი ხარებავების სახელი, არამედ იმათი ნაღვაწით მთელი საქართველო ამაყობს!



10

## მესამე ქართველი ილია სულამანიძე

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

## — რას არ მოიფიქრებენ ავადმყოფი აკაცუკები!

კუდის მოქნევაც არის და კუდის მოქნევაც — ნოემბერმა რომ კუდი მოიქნია და ქვეყანა შეაგანგარა, მტრისას! თვის ბოლო სამი დღე ისეთი აღმოჩნდა, 4 ოქტომბერს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ჯერ ერთი, ნოემბრის დიდი, ძალიან დიდი, უდიდესი სახალხო დემონსტრაცია ღობეებისა და ჭიშკრების დასაქცევად არ ყოფილა დამისამართებული, არც ისეთი ბელადი ჰყოლია, როგორიც ნაპოლეონისა და ლენინის ნაჯვარ-ნაქლიბი პაატა ბურჭულაძეა, რომელმაც აზრი, არსი, შინაარსი და დანიშნულება შეუცვალა რევოლუციას, რითიც იგი ზოგადად გახადა უფრო მოქნილი, მსუბუქი, მშობლიური, უსაფრთხო და მისაღები მასებისათვის. მისაღები, რაც მთავარია, გამჭვირვალობითა და სილაღით, როცა იწყება დღის 4 საათზე და მიზანსმიღწეული მთავრდება საღამოს 8 საათზე. ეს ახალი პაატასეული რევოლუცია ფაქტობრივად იქცევა თამაშად, რომელსაც (არა) აქვს ბუნდოვანი, გაურკვეველი გეგმა-პროგრამა, რომელიც მხოლოდ ერთმა კაცმა-ლიდერმა პაატამ იცის, ისიც იმ ზღვრამდე, რომ ხელისუფლება, მისი სამართალდამცავი და ძალოვანი ორგანოები თავისით ჩაბარდებიან, უბრალოდ, დანებდებიან რევოლუციას. აი, ასეთი აბსურდული, ოდიოზური კაცი, რომელზეც ძალაუნებურად იფიქრებ, შეშლილიაო, მეთაურობდა მრავალათასიან წკიპზე მდგარ აქციას, რომელიც რეჟიმის დამხობას ლამობდა.

მსგავსი არაფერი ჰქონდა 28 ნოემბრის მეჩხერ, ძალიან მეჩხერ, უმეჩხრეს მძლე მსვლელობას. ის 4 ოქტომბრის ალი-კვალიც არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, კარგად გახლდათ შემზადებული. ჯერ იყო და რუსთავის მე-12 საპყრობილეში გადასახლებულმა მიშა სააკაშვილმა დამოძღვრა მონაწილენი, კვლავ გაერთიანდითო. მე და ნინო ბურჯანაძე, ვარდების რევოლუციის წინ, მთელი სამი წელი არ ველაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ, როცა საქმეს დასჭირდა, პირადი წყენა გვერდზე გადავდეთო.

**გაერთიანების სიკეთეზე განსაკუთრებული ხაზგასმით ითქვა, თანაც თუ ეს გაერთიანება ლეგიტიმური მეხუთე პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ლიდერობით მოხდება, ხომ სულ — ოხოხოხოო!**

**ამ დღეებში სოცქსელებში გამოქვეყნდა ერთი ემიგრანტი ქალბატონის ჩანაწერი, სადაც ის მთელი სერიოზულობით აფრთხილებდა „უგადრუკ" ხელისუფლებას, ემანდ ჭკუას მოუხმეთ, არ ჩამომიყვანოთ,**



# ქართველთ განიხარეს: ურთიერთსიძულვილის ახალი წყარო პოვეს!..

**თორემ ვაი თქვენი ბრალიო. ფეისბუქმომხმარებლები ყელის გამოწევით ეხვეწებოდნენ, ჩამოსვლის დრო წინასწარ გაგვაგებინეო.**

„პატრიოტთა ალიანსის" კაზიანმა რობინ ჰუდმა ავად დააელვა თვალები: **„თუ ეს ხელისუფლება თავისი ნებით არ წავა, და, რა თქმა უნდა, არ წავა, მაშინ მე ვხედავ, რომ ამათ მოუწევთ ძალიან მძიმე შედეგებით დატოვონ ხელისუფლება".**

**მოდი და ნუ შეგეშინდება!!!**

დიდი ჭაპანწყვეტით პოლიტიკოსთა რიგებში გაკვეხებული „კავკასიის" წამყვანი ნინო ჯანგირაშვილი პირდაპირ ვარდუა მკითხავად იქცა: 28 ნოემბრის აქციისთვის დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ივანიშვილის რეჟიმი გაიფხრიწება ნაკერავზეო.

ხომ არ ჯობდა, ეს ნათელმხილველი ქალბატონი თავისი ცარიელი, უზადრუკი გადაცემებისთვის გაფხრეწილიყო და იმაზე ეწინასწარმეტყველა!..

„ერთობის აქციებს" ჰქონდა გამოკვეთილი ნატვრა-მიზანი: „გადადგეს რეჟიმი!" ესენი კი მშვიდობიანი გადადგომის შანსსაც არ უტოვებენ!

მაგრამ რაც ვთქვი, ის არაფერია იმასთან შედარებით, რაც აწი მაქვს სათქმელი იმ საზიზღრობაზე, იმ საშინელ სისაძაგლეზე, რაც ქართველთა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ შვა — თამამოძმეთა სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილზე.

ახლახან ყოველმხრივ გაანალიზდა გასული წლის ნოემბერ-დეკემბრის აქციები და გაირკვა საშინელი ამბავი, რასაც, თურმე, დღემდე საგულდაგულოდ მალავს მზაკვარი ხელისუფლება: შარშან, როცა შინაგან საქმეთა სამინიტრომ დემონსტრანტებს წყლის ჭავლი მიუშვა დასაშლელად, იმ წყალში...საშინელი ქიმიური ნივთიერება ყოფილა გარეული, პირველი მსოფლიო ომის დროინდელი „კამიტი", რომლის წვეთიც, თურმე ხალხური ენით რომ ვთქვათ, თუ თვალში მოგხვდა, აგიწვავს, თუ ცხვირში — ძმარს გადენს, თუ ფილტვებში — ფინთი ხველა და სხვა რამ აგიტყდება, თუ კუჭში — ფაღარათი ხელთა გაქვს და ა. შ. ხოლო, თუ ყველაფერი ერთად წამოგეწევა — შეიძლება ფეხებიც გაფშიკო, როგორც უამრავმა გერმანელმა ჯარისკაცმა გაფშიკა პირველ მსოფლიო ომში, როცა ფრანგებმა ფრონტზე ახლადგამოგონებული საწამლავი შეუბოლეს. ოღონდ ფრანგებიც ასევე დაზარალნენ, რადგან ქარმა საპირისპიროდ დაუბერა, ასეა, კამიტი მხოლოდ მოწინააღმდეგეს არ ერჩის. მას შემდეგ ეს უბედური კამიტი აღარავის გამოუყენებია. აი, ასეთი სამხილი იკვეთება შარშანდელზე. ეს ყველაფერი „ბიბისის" გამოძიებით გახდა ცნობილი იმის **ვარაუდით**, რომ შარშან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტრომ **მგონი** ეს აკრძალული კამიტი გამოიყენა დემონსტრანტების წინააღმდეგ.




**„ბიბისის" ჟურნალისტური გამოძიების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქმე აღძრა ორი მუხლით: სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და უცხოეთის ორგანიზაციებისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარება.**

გამოძიება დაიწყო ექიმ **კოტე ჩახუნაშვილის** მიმართ. **კოტე ჩახუნაშვილი „ბიბისის"** მიერ მომზადებული საგამოძიებო სიუჟეტის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტია, რომლის მიხედვითაც 2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის საპროტესტო აქციების დასაშლელად ქიმიური ნივთიერება „კამიტი" გამოიყენებოდა. ექიმმა **კ. ჩახუნაშვილმა** „ბიბისის" გადასცა მისი და თბილისელ ექიმთა ერთი ჯგუფის მიერ ჩატარებული რამდენიმე ინსტრუმენტული კვლევის შედეგი. თუმცა ამბის გახმაურების შემდეგ ბატონმა კოტემ განაცხადა, რომ „საკვლევ ჯგუფში" ცვლილებები აჩვენა კაპილაროსკოპიამ, მაგრამ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილება არ იყო და იმის თქმა, თუ რამდენად კავშირში შეიძლება იყოს დარგევასთან, ჩვენ არ შეგვიძლიაო. მაშინ რას იკლავთ თავს და ჯაშუშებივით აწვდით ამ არაფრის მთქმელ ცნობებს „ბიბისის"?

სხვათა შორის, ექიმმა **კოტე ჩახუნაშვილმა** სუს-ში მისვლაზე უარი თქვა, მხოლოდ მაგისტრ მოსამართლესთან ვილაპარაკებო.




**ვინმე იფიქრებს, ექიმ კოტე ჩახუნაშვილის სიძულვილი „ოცნების" ხელისუფლების მიმართ, იქიდან მოდის, 4 ოქტომბრის პრეზიდენტის სასახლის ღობე-ჭიშკრის გატალიების გამო მამამისი გიორგი რომ დააკავეს... თუმცა, მაშინვე გაუშვეს, როგორც ხანდაზმული ექიმი, აკადემიკოსი (რომელიღაც სამედიცინო დარგის აკადემიის წევრი), ხელისუფლების ამ გულმოწყალებას მისთვის არ გადაუფიქრებინებია მოეწყო ხანმოკლე, კარგად ორგანიზებული მკვახე ხმაური, როგორ თუო!..**

**მაგრამ არა, აშკარაა, რომ ჩახუნაშვილების ბოღმა გაცილებით ადრინდელია, გაცილებით ღრმაა...**

ოღონდ, ეს რა ჩვენი გასარკვევია, ძვირფასო მკითხველო. ბატონ კოტეს ხომ მხოლოდ მის მიერ შერჩეულ მაგისტრ მოსამართლესთან არ მოუწევს საუბარი — ვრცელი, საგნობრივ — არსებითი. ბოლოს და ბოლოს, სავარაუდოდ, ამ წყეულმა ნივთიერებამ ხომ შარშან ათასობით მშვიდობიანი დემონსტრანტი დაწამლა. თუმცა, ამის შესახებ დღესდღეობით დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ ასე უღვთოდ გამეტებულ-დაწამლულთაგან, მადლობა ღმერთს, არავინ მომკვდარა, არც მძიმედ დაშავებულთა შესახებ გვსმენია.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. პირველსავე დღეს, როცა ეს სენსაციური ამბავი გახმიანდა, მართლისმთქმელმა ჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ ჩვეული მოქნილობითა და მონდომებით უმალ მოიძია პირველი უტყუარი მოწმე და ტელემაყურებელს წარუდგინა.

ხანდაზმულმა, დარბაისელი იერის მქონე ქალბატონმა გვიამბო: შარშან, 30 ნოემბერს, აქციაზე ყოფნისას, მივედი პოლიციელთა ჯგუფთან, რათა მეთხოვა, ადამიანურად მოქცეოდნენ დემონსტრანტ ახალგაზრდებს. ამ დროს მოულოდნელად მოვხვდი პროჟექტორის შუქში და უმალ ვიგრძენი თავი ცუდად. აღმოჩნდა, რომ თავში ანევრიზმა გამისკდა. ექიმებმა ურთულესი ოპერაციით სიკვდილისგან მიხსნეს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი უბედურების მიზეზი პროჟექტორის სხივი იყო, ალბათ, მომწამვლელი... აი, ასეთი უტყუარი „მოწმე" წარმოგვიდგინა ინგა გრიგოლიამ, რომელიც ყოველი თავისი გადაცემის დასასრულს მაყურებელს მადლობას უხდის უსაზღვრო ნდობისთვის.

თუმცა, ინგას რას ვერჩით, როცა ადვოკატი მიხეილ რამიშვილი წერს: **„სადაც ახლა ვიმყოფები ემიგრაციაში, ჩამიტარდა გამოკვლევები და თირკმელზე, რო-**

მელიც მხოლოდ ერთი მაქვს, დამიდგინდა სიმსივნური კვანძი, რომელიც არასდროს მქონია და სრულიად შესაძლებელია ეს განხორციელებულიყო წყლის ჭავლისა და ბალონის გამოყენებისას აქციაზე ჩვენს წინააღმდეგ... ბალონები რობოკოპებს ეჭირათ ხელში და შესაძლებელია მათში სწორედ ის მომწამვლელი ნივთიერებები ყოფილიყო, „ბიბისის“ სიუჟეტში რომ არის ნახსენები“.

## უფალო, შეგვიწყალენ!

### ამის შემდეგ სულაც არ გამიკვირდება, გამოჩნდნენ მოწმენი, რომ აქციაზე მონაწილის შედეგად გამელოტდნენ, სიმაღლეში მოიკლეს ან მოიმატეს, დაკოჭლდნენ, დაორსულდნენ...

მაგრამ ეს მოწმეები სულაც არ არის მთავარი მთელ ამ ამბავში. მთავარი ის გახლავთ, რომ ეს აღმოჩენა-ვარაუდი ხალხის დაწამვლისა, გამიზნულად, შეგნებულად, მტრული მიზნით, სპეციალურად არის მიწოდებული „ბიბისისთვის“, რათა მას ამისგან ბომბი შეექმნა საქართველოს წინააღმდეგ. ეს ბომბი ერთნაირი სიმარჯვით უნდა მოეხმარათ გარეულ და შინაურ მტრებს. ოღონდ, მიმდინარე გამოძიების კვალდაკვალ შეიმჩნევა რეაქციის ერთგვარი დაცხრომა, კატეგორიულ მტკიცებათაგან ერთგვარი თავის შეკავება, ხალხი დიდი ინტერესით ელოდება სუსი-ს მიერ დაწყებული გამოძიების შედეგებს, მეტი დამაჯერებლობით აღიქვამენ შინაგან საქმეთა მინისტრის გეკა გელაძის განცხადებას, რომ ამ უწყებას არასოდეს ჰქონია და არც ამჯერად აქვს ქიმიური ნივთიერება „კამიტი“, ანუ ის არასდროს გამოუყენებია. ერთი სიტყვით, კოჭებში ეტყობა, რომ ამ პროვოკაცია-ცილისწამებას ასე იოლად არ ჩაატარებს.

ახლა ერთი კარგი ამბავიც: მეამბოხე არქიმანდრიტ დოროთე ყურაშვილის თხოვნითა და კურთხევით პარლამენტთან გედევან ფოფხაძის წინამძღოლობით მსხდარმა მოშიმშილეებმა აქცია შეწყვიტეს. სხვათა შორის, მათ ამ წინადადებით „თავისუფლების მოედნის“ ლიდერმა ზურაბ ცუცქირიძემაც მიმართა, მაგრამ გედევანმა მტკიცედ განუცხადა, ამისათვის შესაფერისი პირობებია საჭიროო. თურმე, დოროთე მღვდლის ნებართვას გულისხმობდა... ნოემბრის კუდის მოქნევა ამით არ დასრულებულა!..

## თბილისი დაწვას გადაურჩა

### მოგეხსენებათ, პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა და მიწაზე ჩამოუტანა ადამიანებს, რა თქმა უნდა, სამეურნეო დანიშნულებით. მაგრამ ადამიანს, რომელიც გათბა, მწვადითა და ხაშლამით გამოძღა, დაავიწყდა პრომეთესთან დადებული ხელშეკრულება და ცეცხლის განუკითხავად, არადანიშნულებით გამოყენება დაიწყო: მეზობლების გადაწვა, ტყეების აგოლება... ასე მივედით მოვლენამდე, რომელმაც გააოგნა სოფელ-ქვეყანა...

29 ნოემბრის დილას დააპატიმრეს საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ლელოელი **ალექსანდრე ელისაშვილი**, რომელმაც, თურმე ჩაქუჩით ჩაამტვრია თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის შენობის გარე ფასადის მინა, შეაღწია შიდა სივრცეში, სადაც პერიმეტრზე თან მოტანილი ბოთლით ბენზინი დაასხა საკანცელარიო ნივთებს, ტექნიკას, დოკუმენტებს და შენობის დაწვა სცადა, მაგრამ აქ ხელი მოეცარა: სანამ ნაპერწკალს გააჩენდა, რომლიდანაც ალი უნდა ავარდნილიყო!.. მიუსწრეს სასამართლოს მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებმა. ფიცხელი ბრძოლის შემდეგ, ალექსანდრეს თვალები ჩაულურჯეს და გასკვანჩეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღები: ჩაქუჩი, პისტოლეტი (რომლის გამოყენებაც საბედნიეროდ მან ვერ შეძლო) და სხვა ნივთმტკიცებად ამოიღო თვითონ ალექსანდრესთან ერთად და უშიშროების სამსახურში იშვა საქმე, რომელიც 10-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

### ასე აღმოჩნდა „სათევზაოდ“ წასული კაცი ციხეში!

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეს ალექსანდრე-ალეკო (სხვანი ალოკესაც უხმობენ) ელისაშვილი ერთობ ფათერაკიანი ვინმეა.



თუნდაც იმით დავიწყოთ, რომ 2025 წლის 13 აგვისტოს რუსეთის სასამართლომ მას რუსეთ-უკრაინის ომში უკრაინის მხარეს მონაწილეობისათვის დაუსწრებლად 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა; მას ბრალი აქვს წაყენებული 156-ე მუხლით, რაც ძალის გამოყენებით პოლიტიკურ დევნას (ლაპარაკია ადამიანის ცემისა და სხვა ფაქტებზე) გულისხმობს და 3-დან 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ეს საქმე ძიების პროცესშია და შემდეგი სხდომა 6 თებერვალს არის ჩანიშნული. ახლა ისიც გავიხსენოთ, ჩვენს თვალწინ მომხდარით მთელი ქვეყანა რომ გააოგნა: პარლამენტში კომიტეტის სხომაზე ტრიბუნასთან მდგარ მამუკა მდინარაძეს რომ მიეპარა და დაარტყა...

ალეკო ელისაშვილი, ადვოკატის თქმით, თურმე, მხოლოდ იმას ნანობს, რომ რამდენიმე წამი დააკლდა საქმის ბოლომდე მისაყვანად. საერთოდ კი დანაშაულს არ აღიარებს, აღიარებს მხოლოდ ქმედებას, რომელსაც მიიჩნევს არა ტერორისტულ აქტად, არამედ პოლიტიკურ ანარიშსწორებად. მას თურმე სულს უხუთავდა არსებული ყოფა, უსამართლობა (აქედან, სასამართლოს შენობის მიმართ ჩაფიქრებული ტერორი)... კოალიცია „ლელო-ძლიერი საქართველო“ უმალ გამოეხმაურა მისი ერთ-ერთი ლიდერის დაკავებას და მის ქმედებას მიუღებელი და გაუმართლებელი უწოდა. ასევე გაემიჯნა მის ქმედებას მეხუთე „სამიდღემჩიო“ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი.

მხარდამჭერები ათას ვარიანტს ამუშავებენ, მის გასამართლებლად ანუ ასახსნელად ასეთი რამეც კი ითქვა, ალექსანდრე „ოცნებამ“ სახლიდან მოიტაცა (სწორედ მაშინ ჩაულურჯეს თვალები) და სასამართლოს შენობის გადაწვა აიძულაო!.. რას არ მოიფიქრებს ავადმყოფი გონება! თუმცა, უთუოდ კიდევ ბევრ, ამაზე ბევრად უარესსაც მოვისმენთ...



**ალეკო ასლანიშვილი**







## ახალი ბინები 762 დევნილ ოჯახისთვის

**თბილისში, ახალაშენებულ საცხოვრებელ კომპლექსში, დევნილებს, სრულად გარემონტებული ბინები გადაეცათ.**

ღონისძიებაზე, სიმბოლურად, ბინების გასაღებები, ახალმოსახლეებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ**, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა **მიხეილ სარჯველაძემ** და თბილისის მერმა **კახა კალაძემ** გადასცეს.

**თვალჭრელიძის ქუჩაზე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საცხოვრებელი კომპლექსი 11 კორპუსს აერთიანებს. უკვე დასრულდა ოთხი კორპუსის მშენებლობა, სადაც ახალი ბინები ე.წ. კომპაქტური განსახლების შენობებში მცხოვრებ დევნილებს გადაეცათ.**

**კომპლექსის მშენებლობა, სრულად, 2026 წელს დასრულდება და ჯამში, 2 426 დევნილი ოჯახი განსახლდება. პროექტის ბიუჯეტი 243 613 670 ლარია. სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს კომპანია „ანაგი“ ახორციელებს. პროექტი გარე ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობასაც ითვალისწინებს, რისთვისაც ბიუჯეტიდან 11 860 000 ლარი გამოიყო. საცხოვრებელი კომპლექსის ეზოში სტადიონები, ბავშვთა გასართობი მოედნები და სავარჯიშო სივრცეები მოეწყობა.**

**აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, სრულად გარემონტებული ბინები, ჯამში 1 614 დევნილ ოჯახს გადაეცა. მიმდინარე წლის სექტემბერში, ქუთაისში, ნიკეასა და შერვაშიძის ქუჩებზე, თანამედროვე საცხოვრებელ კომპლექსში განსახლდა 852 ოჯახი.**

**ამ ეტაპზე, თბილისის პარალელურად, საცხოვრებელი კომპლექსები 3 ქალაქში შენდება. 800 დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით, 4 კორპუსი შენდება რუსთავში. 7 კორპუსი – ზუგდიდში, სადაც 1 747 დევნილი ოჯახი მიიღებს ბინას. ბორჯომში კი, საცხოვრებელი პროექტი 150 დევნილი ოჯახის განსახლებას ითვალისწინებს.**

**ამასთან, მთელი ქვეყნის მასშტაბით, აქტიურ რეჟიმში გაგრძელდება „სოფლად სახლის“ შესყიდვის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, დევნილი ოჯახები, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში, თავად არჩევენ კერძო სახლს, რომლის შესყიდვასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს“.**



**დავით მირცხულავა:**

## შავი ზღვის ელექტროკაბელის პროექტთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვანია ხუდონის, ნამოხვანის და ნენსკრას ჰიდროელექტრო-სადგურების აშენება!

### შავი ზღვის ელექტროკაბელის პროექტი თავისი მნიშვნელობით შაჰდენიზის გაზსადენსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენს უტოლდება!

**შავი ზღვის ელექტროკაბელის პროექტმა უკვე დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ევროპამ დაადასტურა, რომ ეს ენერგოპროექტი მათთვის მეტად საყურადღებოა. შესაბამისად, მისი სრულფასოვანი განხორციელების პერსპექტივა გაჩნდა.**

**საქართველოს მიერ ინიცირებული შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი 2025 წლის ბოლოს ორმხრივი ინტერესების პროექტის სტატუსის მისაღებად ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ ჩამონათვალშია შეტანილი. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის ინგა ფხალაძის ინფორმაციით, პროექტს წარდგენის დროს თან დაერთო ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მხარდამჭერი დოკუმენტი.**

იხ. 5 გვ.

# „ნაციონალური მოძრაობის“ მორიგი დივერსია საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ!




# მავნებლობას საზღვარი არ აქვს!




**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების შეხვედრები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო მავნებლური ქმედებების გაგრძელებას ნიშნავს. მას შემდეგ, რაც საქართველოს წინააღმდეგ მიმართულმა „მეგობარმა აქტმა“ საბოლოოდ კრახი განიცადა და დღის წესრიგიდან მოიხსნა, პანიკაში ჩავარდნილი ოპოზიცია ახალ გზებს ეძებს საკუთარი ქვეყნის იმიჯის დაზიანებისა და ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის. პარტიის თავმჯდომარე თინა ბოკუჩავამ და სხვა წევრებმა სოციალურ ქსელში და მედიასთან საუბრისას დაადასტურეს, რომ კონგრესში მათ ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ე.წ. ქიმიური იარაღით — „კამიტით“ ქართველების მოწამვლის შესახებ. ამავე შეხვედრებზე განიხილეს ფინანსური მაქინაციები, რომელსაც ვითომდა საქართველო რუსეთისა და ირანისთვის სანქციების გვერდის ავლის სანაცვლოდ ახორციელებს. ასევე, საუბარი შეეხო ირანისა და ჩინეთის როლის გაძლიერებასა და გავლენებს საქართველოზე.**

## ლობიზმის ბინძური კამპანია

**ბრალდება, რომელიც ვარაუდებზე დაფუძნებული BBC-ის სიუჟეტიდან მოდის, აშკარად ემსახურება ხელისუფლების წინააღმდეგ ახალი სკანდალის აგორებას და კონგრესში ყურადღების მიქცევას. „ნაციონალური მოძრაობა“ წლების განმავლობაში, უცხოური ფინანსებით დაქირავებული ლობისტების მეშვეობით, მილიონობით დოლარს ხარჯავს არა მარტო ხელისუფლების, არამედ საკუთარი ქვეყნის ინტერესებისა და პოლიტიკის დასაზიანებლად.**

თუმცა, როგორც „მეგობარი აქტის“ ჩავარდნამ აჩვენა, მათი მავნებლური გავლენა აღარ არის ისეთი ძლიერი, როგორც ეს ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის დროს იყო.

ბოკუჩავასა და მისი თანამებრძოლების ეს ქმედებები, რომელიც საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ „დანოსების“ წერით გამოიხატება, ერთმნიშვნელოვნად ანტისახელმწიფოებრივია. ისინი ცდილობენ, დასავლეთში საქართველოს პარტნიორებს მიაწოდონ უტრირებული, ხშირად სრულიად უსაფუძვლო ინფორმაცია, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯსა და უსაფრთხოებას.

## პრაგმატული ნაბიჯები აშშ-დან

**ამ მავნებლობის ფონზე, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ბოლო დროს გადადგმული პრაგმატული და მნიშვნელოვანი ნაბიჯები იმედის მომცემია. ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ალენ პერსილის შეხვედრები საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებთან, ასევე მისი ვიზიტი საპატრიარქოში, ცხადყოფს, რომ ოფიციალური ვაშინგტონი ურთიერთობების გაფუჭების ნაცვლად, კონსტრუქციულ დიალოგს ამჯობინებს.**



ხელისუფლება მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ვეღარ შეძლებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაფუჭებას. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებთან საუბარში ოპტიმიზმი გამოხატა და განაცხადა: **„იმედი გვაქვს, რომ მთლიანობაში შეიცვლება ამერიკული ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, ეს არის ზოგადი ოპტიმიზმი, რომელიც შეგვიძლია გამოვხატოთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, მოთმინებით ველოდებით მათ პოზიციას საქართველოსთან მიმართებით და იმედი გვაქვს, რომ ის აბსოლუტურად უხეში და უსამართლო დამოკიდებულება, რომელიც იყო 2024 წლამდე, შეიცვლება ახალი მიდგომებით“**, — განაცხადა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო ელოდება აშშ-ის საპასუხო რეაქციას და ამის მიხედვით იმოქმედებს.

## გზა სტრატეგიული პარტნიორობის აღსადგენად

**მმართველ პარტიაში კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს „მეგობარი აქტის“ გაუქმების მნიშვნელობას. „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ ეს ნაბიჯი კარგი პერსპექტივაა, რათა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდეს.**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის **გიორგი პახიანის** განცხადებით, საქართველოს სურს შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობების აღდგენა:

**„რეალურად, ეს არათუ მეგობრული, არამედ მტრული აქტი იყო საქართველოსთან მიმართებაში. ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ გვსურს შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობების აღდგენა. მზად ვართ, გზამკვლევიც კი შევადგინოთ იმისთვის, რომ ჩვენი მეგობრული ურთიერთობები, რაც შეიძლება უფრო გავაღრმავოთ. ამიტომ, რა თქმა უნდა, ასეთი ნაბიჯები, თუ ამას მოჰყვება დამატებით კიდევ კონკრეტული მოქმედებები, ჩვენ ამისთვის მხოლოდ მზაობა გვაქვს“**, — განაცხადა მან.

## საეჭვო კავშირები და „ენჯეოების“ საიდუმლო

**საქართველოს ხელისუფლების პოზიციას კიდევ უფრო ამყარებს აშშ-ის ყოფილი მაღალჩინოსნის ლორენს უილკერსონის სკანდალური ინტერვიუ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების რეალურ საქმიანობას ამხელს. უილკერსონი აცხადებს, რომ ენჯეო-სექტორი, წლების განმავლობაში, უცხო ქვეყნის ჯაშუშურ საქმიანობას ემსახურებოდა, მათ შორის, საქართველოშიც.**

მისი თქმით, „ლიბერალურ დემოკრატიას იარაღად წარმატებით იყენებდნენ“ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების დაფინანსებით და არასამთავრობოების გავლენით, რამაც მოქალაქეები ნეიტრალიტეტზე უარის თქმასა და ნატოს წევრობის მოთხოვნაში დაარწმუნა. ეს განცხადებები კიდევ ერთხელ აჩენს ეჭვებს იმ კავშირების შესახებ, რომელიც არსებობს „ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტურ ინტერესებსა და საქართველოში მოქმედი უცხოური გავლენის აგენტების ქმედებებს შორის.

ხელისუფლება მტკიცედ დგას პოზიციაზე, რომ ქვეყნის ინტერესების დაზიანების მცდელობები წარუმატებლად დასრულდება, ხოლო აშშ-სთან ურთიერთობები პრაგმატული და ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული მიდგომებით გაგრძელდება.

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** for.ge-თან აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების მიერ ამერიკის კონგრესში გამართული შეხვედრები და მათი განცხადებები საქართველოს წინააღმდეგ მიმართული „მეგობარი აქტის“ ჩავარდნის შემდეგ, „უსუსური მცდელობა და სამშობლოს დამაზარალებელი მავნებლობის გაგრძელება“.

**„თინა ბოკუჩავას მიერ გავრცელებული ინფორმაცია ე.წ. ქიმიური იარაღით მოწამვლისა და სანქციების გვერდის ავლის სქემებზე, სრულიად უსაფუძვლოა და ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის იმიჯის მიზანმიმართულ დაზიანებას. ეს არის „პოლიტიკური ისტერიკა და დასმენის კამპანია“, რომელიც მილიონობით დოლარად დაქირავებული ლობისტების მეშვეობით ხორციელდებოდა, თუმცა მისი ეფექტი მნიშვნელოვნად შემცირებულია“**, — განაცხადა მან.

ანალიტიკოსი ამბობს, რომ ის, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე და ანალიტიკოსი, კატეგორიულად ემიჯნება ამგვარ დივერსიულ ქმედებებს.

**„ჩვენ ყველამ დავინახეთ, რომ ამერიკული პოლიტიკური ვექტორი პრაგმატიზმისკენ იხრება. „მეგობარი აქტის“ მოხსნა დღის წესრიგიდან არის უმნიშვნელოვანესი სიგნალი, რომ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ძალისხმევა უშედეგოა“**, — განაცხადა **ედიშერ გვენეტაძემ.**

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება სწორად ელოდება აშშ-სგან „ახალ, სამართლიან მიდგომებს“.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ქართული გეოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი

## აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძის ხსოვნას

**92 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული გეოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე.**

აკადემიკოსმა **ერეკლე გამყრელიძემ** თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ალექსანდრე ჯანელიძის ხელმძღვანელობით. იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1966 წელს). ამის შემდგომ, ერეკლე გამყრელიძე თავის სამეცნიერო მოღვაწეობას აგრძელებს ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტში, სადაც მან განვლო გზა უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემდე. ბატონმა ერეკლემ, ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომით, დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში გეოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების, კერძოდ, კი მისი უმნიშვნელოვანესი დარგის, – ტექტონიკის განვითარებაში. 1974 წელს ერეკლე გამყრელიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ტექტონიკური სტრუქტურების ფორმირების მექანიზმი და ტექტოგენეზისის ზოგიერთი ზოგადი პრობლემა“, რომელიც 1976 წელს გამოქვეყნდა მონოგრაფიის სახით.

მან პირველმა, სხვა მთათა სისტემების ანალოგიურად, კავკასიისა და მისი მოსაზღვრე რეგიონების მაგალითზე, დაადასტურა დედამიწის ქერქისა და ლითოსფეროს ჰორიზონტალური ტექტონიკური განშრევება და ასევე, 1970-იან წლებში დაიწყო ამ განშრევების ერთ-ერთი გამოხატულების ეგრეთ წოდებული შარიაჟული სტრუქტურების აგებულების და წარმოშობის მექანიზმის შესწავლა.

1997 წელს ერეკლე გამყრელიძემ პირველმა მოხდინა ალპური სარტყლის ცენტრალური სეგმენტის (ანატოლია, კავკასია, ირან-ავღანეთი) ტექტონიკური დარაიონება ტერეინული ანალიზის საფუძველზე, რამაც შემდგომ ფართო გამოყენება პოვა სამეცნიერო ლიტერატურაში.

ერეკლე გამყრელიძე თითქმის 30 წლის განმავლობაში, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ლექციების კურსს „სტრუქტურულ გეოლოგიასა“ და „გეოტექტონიკაში“.

აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე მონაწილეა ათეულობით საერთაშორისო ფორუმისა. გარდა ამისა, იგი საგრანტო პროექტებთან და სხვა საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებით, მრავალი წლის განმავლობაში გამოდიოდა სპეციალური სამეცნიერო მოხსენებებით მიუნხენის, პარიზის, ვენის, ვარშავის, რომის, ბრატისლავის, სოფიის, ბუქარესტის, პრაღის, ფრაიბურგის, მოსკოვის და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში.

ერეკლე გამყრელიძე ავტორია 230 სამეცნიერო შრომის, 10 მონოგრაფიის, რომელთა შორის 4 უცხოეთშია გამოცემული; ასევე, იგი ავტორია 90-ზე მეტი ხელნაწერი შრომისა (გეოლოგიური ანგარიშები). მისი პუბლიკაციები წლების მანძილზე იბეჭდებოდა საერთაშორისოდ აღიარებულ სამეცნიერო ჟურნალებში, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.

2021 წელს გამომცემლობა „შპრინგერში“ დაიბეჭდა მისი წიგნი, თანაავტორებთან ერთად, „საქართველოს გეოტურისტული პოტენციალი:.

ერეკლე გამყრელიძე წლების განმავლობაში წარმატებით უძღვებოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებას, იყო მისი აკადემიკოს-მდივანი. ასევე, იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და შაჰდენიზის ნავთობ და გაზსადენების მშენებლობასთან დაკავშირებული გეოლოგიურ-სეისმოტექტონიკური კომისიების თავმჯდომარე.

ბატონი ერეკლე იყო საერთაშორისო გეოლოგიური რუკის კომისიის, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო საბჭოს და რამდენიმე საერთაშორისო ჟურნალის კოლეგიის წევრი; ასევე, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და საქართველოს ეროვნული პრემიით.

დიდია აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძის ღვაწლი ქართული მეცნიერების წინაშე.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**



### საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისგან

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მწუხარებით იუწყება, რომ 92 წლის ასაკში გარდაიცვალა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა გამყოფილების აკადემიკოსი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი**

## ერეკლე გამყრელიძე

**გამოსვენება 8 დეკემბერს, 14:00 საათზე, სიონის საკათედრო ტაძრიდან.**

# შავი ზღვის ელექტროკაბელის პროექტი თავისი მნიშვნელობით შაჰდენიზის გაზსადენსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენს უტოლდება!



(მესამე გვერდიდან)

**„ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ ევროკომისიამ აღიარა მისთვის მნიშვნელოვანი პროექტი და ის ორმხრივი ინტერესების პროექტის ნუსხაში შეიტანა. ჩვენთვის პროექტი იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც საქართველო ძალიან მდიდარია განახლებადი რესურსებით. ახლა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი, რაც გულისხმობს გადაწყვეტილებას, რომ დივერსიფიცირებულად ვაწარმოოთ ელექტროენერგია ყველა განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით. ეს ნიშნავს, რომ აქ წარმოებული მწვანე ენერგია ძალიან საინტერესო იქნება ევროპისთვისაც და აზიისთვისაც, ყველასთვის, ვინაიდან ის სუფთა ენერგიის სახით შეიძლება იყოს მიწოდებული“,** – აღნიშნა **ინგა ფხალაძემ.**

ამასთან, მინისტრის მოადგილემ აქცენტი გააკეთა საქართველოსთვის ენერგოდაკავშირებადობის მნიშვნელობაზე – მისი შეფასებით, გარდა იმისა, რომ საქართველოს წარმოებული ელექტროენერგიის გაყიდვის, ევროპასთან პირდაპირი ვაჭრობის შესაძლებლობა ექნება, გაიზრდება ტრანზიტის პოტენციალიც.

**„დაინტერესების შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ჩვენი კაბელის მეშვეობით ელექტროენერგიის გატარების საშუალება გვექნება. ამასთან, ევროკავშირსაც აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მიიღოს ელექტროენერგია იმ მომენტში, როდესაც ეს მას ძალიან სჭირდება. დივერსიფიცირება ნიშნავს, გარდა იმისა, რომ ევროპის ქვეყნები ერთმანეთთან ვაჭრობენ, მათთვის საინტერესოა სხვა დერეფნის საშუალებით სხვა ქვეყნებიდან, ჯერჯერობით, არაევროპული ქვეყნებიდან მიიღონ მათთვის აუცილებელი ელექტროენერგიის რაოდენობა. ეს არის ენერგოუსაფრთხოების, ენერგოდამოუკიდებლობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროპის მხრიდანაც“,** – განაცხადა **ფხალაძემ.**

პროექტის საინვესტიციო პოტენციალი კიდევ ერთი საკითხია, რომელზეც მინისტრის მოადგილემ გაამახვილა ყურადღება. გარდა იმისა, რომ საქართველო აქ წარმოებული ელექტროენერგიის გაყიდვას შეძლებს, ასევე, ბევრ დაინტერესებულ ინვესტორს მოიზიდავს იმისთვის, რომ ენერგეტიკის დარგი კიდევ უფრო განვითარდეს. ამჟამად მიმდინარეობს შავი ზღვის ფსკერის შესწავლის პროცესი – საუბარია გეოფიზიკურ და გეოტექნიკურ კვლევებზე, რისთვისაც შავი ზღვის აკვატორიაში სპეციალური გემები უნდა შემოვიდნენ.

**„აღნიშნული პროექტი გულისხმობს ინვესტიციას, რომელიც 3.5 მილიარდი ევროს ტოლფასია. შესაბამისად, საგრანტო დაფინანსება მერყეობს 30-დან 50%-მდე, ხანდახან, 75%-ის ოდენობითაც. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება. ძალიან სერიოზული ევროპელი და აზიელი ინვესტორები უკვე მოდიან და საუბრობენ იმაზე, რომ ამ პროექტში მონაწილეობის დიდი ინტერესი აქვთ“,** – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.



შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტისთვის ევროკომისიის მიერ „ორმხრივი ინტერესის პროექტის“ სტატუსის მინიჭებას, პროექტის ამ ეტაპამდე მისვლასა და საქართველოსთვის გაჩენილ პერსპექტივებზე, რადიო „კომერსანტის“ ეთერში ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა, **დავით მირცხულავამ** ისაუბრა.

**„ეს ეტაპი უკვე მანიშნებელია, რომ პროექტს სრულფასოვანი განხორციელების პერსპექტივა გაუჩნდა. თუმცა, ჯერ კიდევ მრავალი ეტაპია გასავლელი – ამ ეტაპზე, გეოფიზიკური კვლევები მიმდინარეობს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ პროექტმა ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი გადალახა და ის უფრო მიუახლოვდა და ძალიან ახლოს არის განხორციელებასთან“,** – განაცხადა **მირცხულავამ.**

მართალია, პროექტმა მნიშვნელოვანი ეტაპი გადალახა, თუმცა, საქართველოსთვის მორიგი გამოწვევაა ის, რომ მხოლოდ სატრანზიტო ქვეყნად არ იქცეს.

**„ხშირად ვადარებ ამ პროექტს თავისი მნიშვნელობით იმ პროექტებს, რომლებიც საქართველოში განხორციელდა – ეს არის შაჰდენიზის გაზის პროექტი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. თავისი მასშტაბით, ეს პროექტი უტოლდება და, შესაძლოა, ჩვენი ქვეყნისთვის გაცილებით მეტიც იყოს. ამიტომაც, არ უნდა გავხდეთ მხოლოდ ტრანზიტული ქვეყანა. უნდა ვიყოთ ჩვენი განახლებადი გენერაციის გამტარი და გამომყენებელი და ამასთან დაკავშირებით, უამრავი პრობლემაა გადასაწყვეტი. აუცილებელია, გარკვეული ტექნოლოგიური ნახტომიც კი განახორციელოს ქვეყანამ“,** – აღნიშნა **მირცხულავამ.**

პარალელურად კი, ერთ-ერთ პრობლემად ენერგეტიკოსი ხუდონს, ნამოხვანსა და ნენსკრას ასახელებს და ამბობს, რომ ამ პროექტების განხორციელება უკიდურესად მნიშვნელოვანია.

**ბექა დანელია**

## „წიგნი კი არა, ჭრჭოლა ხარ...“





# ჩვენი საერო კულტურის გვირგვინი

## ავაღორძინოთ საქართველოში „ვეფხის-ტყაოსნის“ მზითვად გატანების ტრადიცია




**2025 წლის 2 დეკემბერს სასტუმრო „ტელეგრაფის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სამზითვო ვეფხისტყაოსნისა და XXI საუკუნის ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის წარდგენა.**

**წარდგენას ესწრებოდნენ წმინდა სინოდის წევრები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები, მწერლები, მხატვრები, დედაქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები.**

ვეფხისტყაოსნის უნიკალური გამოცემების წარდგენა დაიწყო უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წერილით, რომელიც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე).

სიტყვით გამოვიდნენ და ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის მზითვად გატანების ტრადიციის აღდგენის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისაუბრეს:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა;**

ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა **დანიელმა (დათუაშვილი);**

ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა, რუსთაველის კომიტეტის თავმჯდომარემ **ავთანდილ არაბულმა**, რომლის საინტერესო კვლევა ამშვენებს სამზითვო ვეფხისტყაოსანს, მზითვად გატანების დიდებული ტრადიციის შესახებ, „ვეფხისტყაოსანი – ბედნიერების მეგზური“;

ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციის მთავარმა რედაქტორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **ზურაბ აბაშიძემ,** რომელმაც დიდი ირაკლი აბაშიძის განსაკუთრებულ ღვაწლზე ისაუბრა ვეფხისტყაოსნის პოპულარიზაციის საქმეში და რუსთაველის ფრესკის აღმოჩენაში, ამასთანავე დამსწრე საზოგადოებას გააცნო მიმდინარე წლის 6 ნოემბერს ოქსფორდში გამართული დიდი საერთაშორისო კონფერენციის შედეგები.



* * *

**(მიმდინარე წლის 6 ნოემბერს ოქსფორდში, ჩვენი თანამემამულის, დოქტორ თეა გომელაურის ორგანიზებით, რუსთაველის ფრესკის აღმოჩენის 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა ძალიან შთამბეჭდავი სახელწოდებით – „რუსთაველის საჩუქარი კაცობრიობას“.**

ვეფხისტყაოსანი წაიკითხეს 12 ენაზე. ამ უმაღლესი დონის ფორუმზე მოხდა სამზითვო ვეფხისტყაოსნის პრეზენტაცია და კონფერენციის პარალელურად მოწყობილ გამოფენაზე, გამოფენილი იყო ბატონი გურამ ახალაიას კოლექციიდან 4 სხვადასხვა გამოცემა, მათ შორის XXI საუკუნის ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი, რომელსაც დამთვალიერებელთა დიდი აღფრთოვანება მოჰყვა. კონფერენციის მონაწილეებს საპატიო სტუმრის რანგში მიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის სამეცნიერო რედაქციის მთავარმა რედაქტორმა, XXI საუკუნის ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის 204-ე გვერდის გადამწერმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ბატონმა **ზურაბ აბაშიძემ)**.

* * *

**დამსწრე საზოგადოებას მიმართა და მადლობა გადაუხადა მის უწმინდესობას ვეფხისტყაოსნის მზითვად გატანების დიდებული ტრადიციის აღორძინებისთვის და ბატონ გურამ და აკაკი ახალაიებს სამზითვო ვეფხისტყაოსნის მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემისა და ლადო გუდიაშვილის ილუსტრაციებით დამშვენებისთვის, ლადო გუდიაშვილის შვილიშვილმა ანანო მელივამ.**

დამსწრე საზოგადოებას დაუვიწყარი სიტყვით მიმართა ლეგენდარულმა კინორეჟისორმა, გამორჩეული ინტელექტის საზოგადო მოღვაწემ **მერაბ კოკოჩაშვილმა,** რომელმაც თან წარმოადგინა ოჯახის უნიკალური რელიკვია – 1934 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსანი ლადო გუდიაშვილის ილუსტრაციებით და უშანგი ჩხეიძის ავტოგრაფით მისი დაბადების დღისადმი მიძღვნილი.

უწმინდესის ლოცვა-კურთხევა ვეფხისტყაოსნის მზითვად გატანების უნიკალურ ტრადიციაზე განსაკუთრებულ მოვლენად შეაფასა პოეტმა **ერეკლე სადღიანმა** და საზოგადოების სახელით მადლობა გადაუხადა სამზითვო ვეფხისტყაოსნისა და XXI საუკუნის ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის იდეის ავტორს **გურამ ახალაიას** და გამოცემის პროექტის ხელმძღვანელს **აკაკი ახალაიას;**

სტუდენტი ახალგაზრდობის სახელით ამ დიდებული ტრადიციის აღდგენის მნიშვნელობაზე ისაუბრა თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტმა **თაკო ლეკიშვილმა**;

დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია დამსახურებული პედაგოგის, ვეფხისტყაოსნის ზეპირად მცოდნე ქალბატონის **ანრო ცირეკიძის** გამოსვლამ, რომელმაც ზეპირად წაიკითხა პოემის ერთი თავი – ავთანდილის ლოცვა.

ვეფხისტყაოსნის ორივე გამოცემის უნიკალურობასა და უწმინდესის ინიციატივით მზითვად






გატანების ტრადიციის აღორძინების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება ბიბლუსის შემოქმედებითმა დირექტორმა, „წიგნის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელმა და თავმჯდომარემ **გიორგი კეკელიძემ**.

ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის წარდგენის დასასრულს სამადლობელი სიტყვით წარდგა იდეის ავტორი და გამომცემელი, ვეფხისტყაოსნის უნიკალური კოლექციის მფლობელი **გურამ ახალაია**. მან მადლობა გადაუხადა მის უწმინდესობას ვეფხისტყაოსნის მზითვად გატანების უძველესი და უნიკალური ტრადიციის აღორძინებისთვის, წერილში გამოთქმული მადლიერებისა და საინტერესო წინადადებისთვის – საქართველოში ვეფხისტყაოსნის მუზეუმის დაარსების თაობაზე და გამოითქვა რწმენა, რომ უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, როგორც აქამდე არაერთი დიდი ტრადიცია აღორძინდა, ვეფხისტყაოსნის მზითვად გატანების დიდებული ტრადიციაც აღორძინდება და ვეფხისტყაოსნის დღეს წარდგენილი გამოცემებიც და სხვა ძვირფასი გამოცემებიც სამზითვო ნივთების ნუსხაში ჩაეწერება ყველა ახლად დაქორწინებული წყვილისთვის. ამით კიდევ ერთხელ გავაცნობიერებთ, როგორც ოქსფორდის უმაღლეს ფორუმზე აღინიშნა, თუ როგორია რუსთაველის საჩუქარი კაცობრიობისთვის.

ამასთანავე დამსწრე საზოგადოებას გააცნო, თუ რა დანიშნულება უწინასწარმეტყველა დიდმა რეზო გაბრიაძემ XXI საუკუნის ხელნაწერ ვეფხისტყაოსანს. ბ-ნ რეზოს ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის გადაწერის პროცესშივე განუსაზღვრავს გამოცემის შემდეგი დანიშნულება – ეს ხელნაწერი რომ გამოიცემა, იქნება:

**დაუვიწყარი საჩუქარი დაბადების დღეზე;**

**ძვირფასი საჩუქარი ახლად დაქორწინებულებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ვეფხისტყაოსნის მზითვად გატანების უნიკალური ტრადიციის აღორძინებას;**

**განსაკუთრებული საჩუქარი სკოლის მოსწავლეებისათვის და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის;**

**ყველაზე ინტელექტუალური საჩუქარი შობა-ახალი წლისთვის ბიზნესკომპანიებისა და ორგანიზაციებისთვის;**

**ყველაზე სამახსოვრო საჩუქარი ახალმოსახლეთათვის, რომელიც შემდგომში გადაეცემა თაობიდან თაობას, როგორც საგვარეულო წიგნი-საგანძური;**

ასე აქვს წარმოდგენილი ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის მომავალი ბატონ გურამ ახალაიასაც...

მოამზადა **რუსუდან ქობულიამ.**

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მილოცვა „ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემასთან დაკავშირებით

მოხარული ვარ, ჩვენს საზოგადოებას მივულოცო „ვეფხისტყაოსნის“ ორი უმნიშვნელოვანესი გამოცემის, – სამზითვო წიგნის და ჩვენს თანამედროვეთა ხელნაწერის სახით რუსთაველის უკვდავი პოემის წარდგენა.

ორივე ამ გამოცემის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საუკუნოვანი ტრადიციის აღდგენაა, ბ-ნ გურამ ახალაიას მიერ ფრიად ორიგინალურად და შთამბეჭდავად ხორცშესხმული.

მან გააცოცხლა „ვეფხისტყაოსნის“ სამზითვო-სასაჩუქრე დანიშნულება, რითაც, პირველ რიგში, ახლადშექმნილი ოჯახებისთვის და მათი შთამომავლებისთვის ამ პოემის განსაკუთრებული ღირებულება წარმოაჩინა; ამასთან, „ვეფხისტყაოსნის“ ეს გამოცემა ორიგინალური და ყველასთვის სასურველი გახდა საყოველთაოდ აღიარებული მხატვრის, ბ-ნ ლადო გუდიაშვილის ილუსტრაციების გამოყენებითაც.

რაც შეეხება ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანს“, რომლის გადაწერასა და გამშვენებაშიც ჩვენი დროის ასობით გამოჩენილმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, ვიტყვი, რომ იგი, მართლაც, უნიკალურია.

ეს არის საოცარი სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული წიგნი, რომლის თითოეულ სტროფში ყოველმა გადამწერმა და მხატვარმა დიდი რუსთაველისადმი თავისი სიყვარული, პატივისცემა და მოკრძალება ჩააქსოვა. ეს გრძნობა არ გვტოვებს იმის მიუხედავად, ხელნაწერი ცოცხალ პიროვნებებს ეკუთვნის, თუ – აწ უკვე გარდაცვლილთ.

მართალია, წიგნმა ვერ მოიცვა თანამედროვე ღირსეულ ადამიანთა სისავსე, მაგრამ ფაქტია, ასეთი იდეის განხორციელება ფრიად შრომატევადი საქმეა და მხოლოდ „ვეფხისტყაოსანზე“ უსაზღვროდ შეყვარებულ პიროვნებებს შეეძლოთ ეს რეალობად ექციათ. ვულოცავთ!..

დაბოლოს, ვიცი, რომ ბ-ნ გურამს და სხვა ადამიანებსაც აქვთ დიდი სურვილი, თბილისში გაიხსნას „ვეფხისტყაოსნის“ მუზეუმი, რათა ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, ასევე, ჩამოსულ სტუმრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაეცნონ (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით) და სათანადოდ დააფასონ მსოფლიო მნიშვნელობის ეს შედევრი.

ჩვენი საერო კულტურის გვირგვინს – „ვეფხისტყაოსანს“ ეს პატივი ნამდვილად ეკუთვნის.

ღმერთმა დალოცოს ყველა ადამიანი, ვინც მონაწილეობა მიიღო აღნიშნული წიგნების გამოცემაში; ვინც აფასებს შოთა რუსთაველს და, საერთოდ, ქართულ კულტურას და იღვწის მისი განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის.



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.**
(02.12.2025)

# ღრმა სულიერებით გასხივოსნებული

## მილოცვა ბატონ როინ მეტრეველს!



**ძვირფასო მკითხველო!**

**ბატონ როინ მეტრეველს, ქართული ისტორიოგრაფიის გამოჩენილ მკვლევარს, ბრწყინვალე მეცნიერს, თვითმყოფად მოაზროვნეს, მრავალი ისტორიული წიგნისა და სტატიის ავტორს, ეროვნული აკადემიის ღირსეულ პრეზიდენტს, თანამედროვე ქართველ საამაყო მამულიშვილთა ნამდვილ ლიდერს, ძველ და ახალ თაობებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის სწორუპოვარ მასწავლებელს, წინაპართა საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელსა და დამამკვიდრებელს, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ სახელმწიფო მოღვაწესა და ღრმა სულიერებით გასხივოსნებულ ადამიანს გუშინ დაბადებიდან 86 წელი შეუსრულდა.**

**განსაკუთრებით თვალსაჩინოა როინ მეტრეველის მეცნიერული წვლილი ქართველთა საამაყო მეფეთ-მეფეების დავით აღმაშენებლის, თამარის და ერეკლე მეორის ღვაწლის წარმოჩენის საქმეში.**

**სულითა და გულით გილოცავთ, ბატონო როინ! თქვენ მხოლოდ სიკეთით, უბრალოებით, უფლისმიერი თავმდაბლობით, თავდაუზოგავი შრომითა და მოთმინებით შეჰქმენით საკუთარი უმდიდრესი ბიოგრაფია და შესანიშნავი ისტორიული სახელმძღვანელოები მიუძღვენით სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას, ქართველ საზოგადოებას და ზოგადად საქართველოს მომავალს.**

**თქვენ შესანიშნავი აღმზრდელ-პედაგოგი ბრძანდებით.**

**თქვენი სათუთი დამოკიდებულება თქვენი ნიჭის და კაცობის თაყვანისმცემელი მეგობრებისადმი მეც მეკუთვნის და გულწრფელად ვამაყობ ამით.**

**უფალს ვთხოვ, კიდევ მრავალი წლის ჯანმრთელი სიცოცხლე და მეცნიერული შემოქმედების სიხარული მოგანიჭოთ!**

**გფარავდეთ ღმერთი!**

უღრმესი პატივისცემით
**ვახტანგ ვეფხვაძე.**

**ყველა დროის გამორჩეულ და გამოჩენილ პიროვნებას**

**როინ ვიქტორის ძე მეტრეველს**

**ვულოცავ დაბადების დღეს.**

**ვუსურვებ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.**

სიყვარულით და პატივისცემით
**თენგიზ ქავთარაძე**

## მრავალჟამიერ, ერისკაცო!

**ბატონ როინ მეტრეველს სტუდენტობიდანვე იცნობს ჩვენი რედაქციის თანამშრომელთა უმრავლესობა, როცა მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ბრძანდებოდა.**

**ის ურთულესი ხანა ეროვნული მოძრაობის აზვირთებას დაემთხვა, ამიტომ სიმბოლურია, რომ ქართული ისტორიოგრაფიის ბერმუხა მარად თანამედროვედ დარჩა და ჩვენი დედაუნივერსიტეტის თოთხმეტწლიანი რექტორობის შემდეგ დამოუკიდებლობააღდგენილი სამშობლოს მეცნიერების მთავარ შტაბს, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ჯერ ვიცე-პრეზიდენტის, შემდეგ პრეზიდენტის რანგში მოევლინა.**

**არ არსებობს საუკუნეთა წიაღში დალექილი რამდენადმე ძვირფასი ეროვნული ფოლიანტი, მას რომ მამულიშვილურად არ გამოეკვლიოს. სიამაყით უნდა ითქვას, რომ საქართველოს დღევანდელი სტუდენტი-ახალგაზრდობა სახელოვან წარსულს ჭეშმარიტი მეცნიერის ნაღვაწის საფუძვლებზე ეუფლება.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს დაბადების დღეს კოლეგიალობითა და მეგობრობით გამორჩეულ ჩვენს თანამოაზრეს, თანაავტორსა და თანამებრძოლს, ძვირფას როინ მეტრეველს!**

**მრავალჟამიერ, ერისკაცო!**

**„სრ“ რედაქცია.**



# უკრაინა ისევ ცეცხლს ეთამაშება!

**„შავ ზღვაში უკრაინის საზღვაო დრონების შეტევა ნავთობტანკერებზე პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთისა და თურქეთისათვის, რომელიც ვაშინგტონის მიერ არის დაგეგმილი“**, – ნათქვამია თურქეთის ყოველდღიური გაზეთის **„ჯუმჰურიეთის“ (Cumhuriyet)**, სახალხო-რესპუბლიკური (ქემალისტური) პარტიის მთავარი ბეჭდვითი ორგანოს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით **„უკრაინა ცეცხლს ეთამაშება!“** (ავტორი – **ახმეტ უმარი**). **„აშშ უკრაინის არმიას ორი მიმართულებით მძონე დარტყმისათვის იყენებს: პირველი – შავ ზღვაზე რუსეთის პოზიციების კიდევ უფრო შესუსტებისათვის, მეორე – აიძულოს თურქეთი, უარი თქვას მონტრეს კონვენციის პირობების შესრულებაზე“**, – აღნიშნულია მასალაში.

**გთავაზობთ პუბლიკაციის შემოკლებულ ვარიანტს:**

Cumhuriyet

**ანკარამ კიდევ ერთხელ დაბეჯითებით მოუწოდა უკრაინის კონფლიქტის მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისათვის და იმ ფაქტზე გაამახვილა ყურადღება, რომ უკრაინულმა დრონებმა გამბიის დროშის ქვეშ შავ ზღვაში მცურავი ორი ტანკერი თურქეთის ეკონომიკურ ზონაში ააფეთქეს. ეს მოწოდება სრულიად დროულია და შეიძლება, დაგვიანებულიც კი.**

## უკრაინა — ნატოს ინტრიგების მთავარი მსხვერპლი

**ნატომ, აშშ-ის ზეწოლის შედეგად, უარი თქვა განმუხტვის პოლიტიკაზე, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო და შეაჩერა პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“.**

ჩრდილოატლანტიკური ალიანსმა განიზრახა რუსეთის ალყაში მოქცევა და თავის რიგებში მიიღო ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ასევე რუმინეთი და ბულგარეთი. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე მიღწეული შეთანხმებით, ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა (თუმცა ეს შეთანხმება ქაღალდზე ხელმოწერებით არ ყოფილა დაფიქსირებული), ნატომ დღის წესრიგში დასვა უკრაინის მიღების საკითხიც, რუსეთის გავლენის შესუსტების მიზნით. მოსკოვმა, თავის მხრივ, ნატოელების ნაბიჯების საპასუხოდ, ჯერ უკრაინის ნაწილები – ყირიმი და დონბასი დაიკავა, შემდეგ კი უკრაინაში შეიჭრა. ალიანსმა, უკრაინა-რუსეთის ომის საბაბით, მიიერთა ფინეთი და შვედეთი... მაგრამ ყველაზე მეტად ამ კონფრონტაციით უკრაინა დაზარალდა, რომლის ტერიტორიაზე ომი ბობოქრობს და რომელიც ინგრევა. სამწუხაროდ, უკრაინა აშშ-სა და ნატოს ინტრიგების მსხვერპლი გახდა...

## რას უკეთებს აშშ ევროპას...

**დონალდ ტრამპის აშშ-ის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პირველი ვადის დროსაც, აშშ-ის მიზანი გახდა ის, რომ, ერთი მხრივ, ევროპის ქვეყნები რუსეთთან დაეპირისპირებინა, დარღვეულიყო მათ შორის არსებული მჭიდრო ეკონომიკური კავშირები, მათ შორის, რუსული გაზის იმპორტის საკითხშიც და მიღწეულიყო მიზანი, რომ რუსული გაზის ნაცვლად, ევროკავშირს ამერიკული ძვირადღირებული თხევადი გაზის შესყიდვა დაეწყო.**

მეორე მხრივ, აშშ მიანიშნებდა, რომ ვაშინგტონს შეუძლია ევროპის მხარდაჭერა შეწყვიტოს თავდაცვის სფეროშიც. ამერიკის დახმარების გარეშე კი ევროპელებს რუსეთთან გამკლავება არ შეუძლიათ. შესაბამისად, ევროპელები იძულებულნი გახდნენ საკუთარი სამხედრო ბიუჯეტები გაეზარდათ, ხოლო ეკონომიკური განვითარებისათვის და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი სახსრები სამხედრო სფეროსაკენ დამატებით გადაემისამართებინათ.

ამასთან დონალდ ტრამპის 28-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმა უკრაინისთვის, როგორც ჩანს, იმას მიუთითებს, რომ აშშ რუსეთთან გარიგებას ევროკავშირისა და უფრო მეტად უკრაინის ხარჯზე დებს – მას თავს ახვევს პირობას, რომ კიევი სერიოზულ ტერიტორიულ დათმობაზე უნდა წავიდეს, კრემლის სასარგებლოდ.

## აშშ-ის მიზანი — მონტრეს კონვენციის დენონსაცია

**უეჭველია, აშშ ტანკერებზე თავდასხმას იმის მიზეზად თვლის, რომ დაიწყოს განხილვა მონტრეს კონვენციისა, რომელიც შავ ზღვაში ისეთი ქვეყნების სამხედრო გემების შესვლას კრძალავს, რომელიც სანაპირო (ანუ შავი ზღვის აკვატორიის) სახელმწიფოებს არ წარმოადგენენ.**

ვაშინგტონს ახალი კონვენციის შემუშავება უნდა, რომლის ერთ-ერთი მონაწილე უკვე თვითონაც იქნება. დიდი ალბათობაა იმისა, რომ ტანკერებზე თავდასხმა აშშ-ის მიერ არის წახალისებული და მიზნად სწორედ აღნიშნული სურვილის რეალიზებას ისახავს.

გაფრთხილება, რომელიც ახლახან თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან გაჟღერდა, იმას მოწმობს, რომ რესპუბლიკის საგარეოპოლიტიკური უწყება ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულ მიზეზს და, ალბათ, ამის კონკრეტული მტკიცებულებებიც აქვს. ეს ყველაფერი სერიოზულ დაფიქრებას და ყურადღებას ითხოვს.

მონტრეს კონვენციის თანახმად, რომელიც 1936 წელს შვეიცარიის ქალაქ მონტრეში ჩატარებული დიპლომატიური კონფერენციის შედეგად გაფორმდა, მშვიდობიანობის ან ომიანობის დროს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა თვით თურქეთიც კი მეომარ მხარედ ითვლება, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში სავაჭრო ხომალდების ცურვა (მათი ტვირთის ხასიათის დამოუკიდებლად) არ იკრძალება. ამბობენ, რომ ტანკერებს რუსეთის ნოვოროსიისკის ნავსადგურიდან ყაზახური ნავთობი მიჰქონდათ (კასპიის მილსადენთა საერთაშორისო კონსორციუმის ჩარჩოებში), მაგრამ თუნდაც რუსული ნავთობი ყოფილიყო, ამჟამინდელი სანქციები ხომ გაეროს მიერ მიღებული სანქციები არ არის, რომელთა დაცვა სავალდებულოა ყველა ქვეყნის მიერ.

## მონტრეს კონვენცია და რუსეთ-უკრაინის ომი

**მონტრეს კონვენცია არის გარანტია იმისა, რომ შავ ზღვაზე საომარი მოქმედებების გავრცელებას დაბრკოლება ექნება, ანუ მასში შავი ზღვის სხვა სახელმწიფოები არ ჩაებმებიან.**

თურქეთი როგორც ერთადერთი უფლებამოსილი სახელმწიფო, რომელიც კონვენციის პირობების გამოყენებაშია პასუხისმგებელი, ბოლო დრომდე თავის უფლებებს სწორად იყენებდა. ასეთი პოზიცია ნებას აძლევს თურქეთს არამარტო თავიდან აიცილოს სამხედრო კონფლიქტებით გამოწვეული ზიანი, არამედ იმავდროულად დაიმსახუროს ნდობა რუსეთისგან და უკრაინისგან თავისი ნეიტრალური პოზიციით, გამოვიდეს დელეგაციების მიმღებ მხარედ მოლაპარაკებისათვის და იმავდროულად არ დაუშვას კონვენციის პირობების ცვლილება და ამრიგად, შეინარჩუნოს თავის ხელში კონფლიქტის დარეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტი.

რთული არაა იმის დანახვა, რომ თურქეთის პოზიცია, მონტრეს კონვენციის მიხედვით, არ არის ისეთი, როგორიც ამერიკას აწყობს. ამიტომ გონივრული ეჭვია, რომ ვაშინგტონმა თვითონ წააქეზა უკრაინა ტანკერებზე თავდასხმისათვის, თანაც – მიაქციეთ ყურადღება! – თურქეთის ეკონომიკურ ზონაში. სამწუხაროდ, კიევი კიდევ ერთხელ წამოეგო აშშ-ის ანკესზე და სახიფათო მანევრებში ჩაება.

## უკრაინა ცეცხლს ეთამაშება!

**დიახ, უკრაინა ცეცხლს ეთამაშება – რამდენადაც აღნიშნული თავდასხმა თურქეთს ისეთ ქვეყნად წარმოადგენს, რომელსაც თითქოსდა საკუთარი ტერიტორიული წყლების დაცვა არ შეუძლია და აშკარად არის მიმართული იმისკენ, რომ რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ განაწყოს.**

მაგრამ ვაითუ პირიქით მოხდეს, რომ თურქეთმა მონტრეს კონვენციის ზოგიერთი მუხლით უფრო გაფართოებული სახით ისარგებლოს და უკრაინა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდოს?

ტანკერებზე უკრაინის თავდასხმის ფონზე, რომელიც აშშ-სა და ევროკავშირის მიერ არის შთაგონებული და რომლებსაც მონტრეს კონვენციის კორექტირებაზე და მის საერთოდ გაუქმებაზე ფიქრი არ ასვენებთ, თურქეთმა უნდა განაცხადოს, რომ ანკარა არ შეუერთდება ბრიტანულ-ფრანგულ სამხედრო კონტინგენტს, რომლის სავარაუდო განთავსება უკრაინაში იგეგმება.



**მოამზადა**
**სიმონ კილაძემ**

## დონალდ ტრამპ უმცროსი: უკრაინის ლიდერები საზღვარგარეთიდან შესულ ფულს იპარავდნენ და არ სურდათ ომის შეჩერება!!!

**უკრაინა ბევრად უფრო კორუფციული ქვეყანაა, ვიდრე რუსეთი, წლების განმავლობაში არსებული კორუფცია და ძარცვა, მსოფლიოში ყველამ იცის, რა ხდება,** – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტის **დონალდ ტრამპის** შვილმა **დონალდ ტრამპ უმცროსმა** დოჰას ფორუმზე განაცხადა.

აშშ-ის პრეზიდენტის შვილის თქმით, უკრაინის ლიდერები საზღვარგარეთიდან შესულ ფულს იპარავდნენ და არ სურდათ ომის შეჩერება.

**„უკრაინიდან მდიდრები გაიქცნენ, ვისაც ისინი ღლეხების კლასად მიიჩნევდნენ საბრძოლველად დატოვეს და ვერ ხედავდნენ იმის მიზეზს, თუ რატომ უნდა შეჩერებულიყო ეს ომები, რადგან ვიდრე ეს ფული შედის, ისინი იპარავდნენ და არავინ ამოწმებდა რამეს. ლიდერების, გადაწყვეტილების მიმღებებისთვის, არ არსებობდა მიზეზი, რომ ოდესმე მშვიდობამდე მისულიყვნენ. არ არის განსხვავება პუტინისგან. ომებში ოლიგარქების შვილები არ გაუგზავნიათ, ციმბირიდან გზავნიან ხალხს. მან გამოიყენა ეს ომები, რომ აღედგინა წარმოება. ცხადია, რომ ჩვენ მიერ დაწესებული სანქციები არაფერში დაგვეხმარა. მან ნავთობის ფასი მაღლა შეინარჩუნა და ამით ომი დააფინანსა. არავის სურდა მოლაპარაკების მაგიდასთან მისვლა. ზელენსკიმ იცოდა, რომ ვეღარ მოიგებდა შემდეგ არჩევნებს და აგრძელებდნენ მოპარვას. პუტინმა ააშენა წარმოება. რასაც ჩვენ ვხედავთ, მილიონობით ახალგაზრდა იღუპება არაფრისთვის. უკრაინა ბევრად უფრო კორუფციული ქვეყანაა, ვიდრე რუსეთი. წლების განმავლობაში არსებული კორუფცია და ძარცვა. მსოფლიოში ყველამ იცის, რა ხდება“**, – განაცხადა **დონალდ ტრამპ უმცროსმა.**



# არა ოდენ ტყვირში ყვირის მამა-შვილი ხარებავების სახელი, არამედ იმათი ნაღვაწით მთელი საქართველო ამაყობს!



**სიამოვნებით მოგითხროვთ მამა-შვილი მამია და ლენგი ხარებავების შესახებ, რომელთაც თავიანთი შეგნებული ცხოვრება განვლეს მეცნიერული კვლევის, პედაგოგიური მოღვაწეობის, სამეურნეო საქმიანობის, ქვეყნის ერთგულების, პრინციპულობისა და წესიერი ცხოვრების სულისკვეთებით.**

**ხსოვნა ადამიანთა უკეთილშობილესი თვისებაა, რომელიც სამარადისოდ გაჰყვება ჩვენს მეხსიერებას. არიან ადამიანები, რომელთა ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ გაჩენილ სიცარიელეს ვერავინ შეავსებს. ამ სიცარიელემ დაისადგურა არა მარტო მათ ახლობლებსა და მეგობრებში, არამედ საზოგადოებაშიც.**

**მამა-შვილი მამია და ლენგი ხარებავები გახლდნენ კაცურკაცობისა და ზრდილობის მაგალითი, ბუნებისგან მომადლებული დიდსულოვნებით, კეთილშობილებითა და სათნოებით. ძველი კოლხეთი აურაცხელ სახელოვან საგვარეულოს ინახავს თავის მეხსიერებაში. განსაკუთრებით გამორჩეულია ხარებავების გვარი, რომელთაც შეძლეს წვრილმან მოვლენებზე მაღლა დგომა, ისე, რომ მტკიცედ, წმინდად და ურყევად დაიცვეს საკუთარი ღირსება და ემსახურეს სამშობლოს, მამა-პაპათა ტრადიციებს, მოყვასის ერთგულებასა და სიყვარულს.**

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება მის მიერ დათესილი სიკეთით, ქვეყნისთვის, ხალხისთვის გაკეთებული საქმეებით ფასდება და ეს, როგორც წესი, იმ ჯილდოს საფუძველი ხდება, რასაც ირგვლივ მყოფთა, კოლეგებისა და ნაცნობ-მეგობრების მხრიდან, პატივისცემა და დაფასება ჰქვია.

ამ მოსაზრების უტყუარი მართებულობის დამადასტურებელია მამია და ლენგი ხარებავების მაგალითიც.

პროფესორი მამია ხარებავა განეკუთვნებოდა ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც სამიდღემჩიოდ რჩება მეხსიერებაში და ყოველდღიურად გახსენებს თავს. ასეთი ადამიანების წასვლა ამ ქვეყნიდან ყოველთვის გულისტკივილს იწვევს და, რამდენი წელიწადიც არ უნდა იცოცხლონ, მათი გახსენება კიდევ ერთი მაგალითია მომავალი თაობებისთვის, რომ არავინ და არაფერია დავიწყებული. მამია ხარებავას მიერ განვლილი გზა გარკვეულ მოკრძალებას, პატივისცემას, გაკეთებული საქმეების დაფასებას იმსახურებს. თავისი ორიგინალური კვლევებით მან ღრმა კვალი დატოვა სამამულო აგრარული მეცნიერების განვითარებაში. განსაკუთრებით კი, როგორც მოწოდებით მეცნიერმა, სრულიად ახალი მიმართულება შექმნა მცენარეთა ეკოლოგიის დარგში.

მამია ფილიპეს ძე ხარებავა დაიბადა 1910 წლის 10 მარტს აბაშის რაიონის სოფ. ტყვირში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული კულტურების ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ რაიონში, სადაც რამდენიმე წელი იმუშავა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში აგრონომის თანამდებობაზე. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა ბრუნდება თბილისში და აბარებს გამოცდებს ასპირანტურაში სუბტროპიკული მეურნეობის სპეციალობით, რომლის დამთავრების შემდეგ წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას აკად. ტარასი კვარაცხელიას ხელმძღვანელობით. მას იქვე ტოვებენ სამუშაოდ სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე და მალე ირჩევენ დოცენტის თანამდებობაზე.

1952 წელს, მთავრობის გადაწყვეტილებით, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტის ბაზაზე ქუთაისში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რომელიც დაკომპლექტდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა სუბტროპიკულ მეცნიერებათა ეკოლოგიის და მეტეოროლოგიიის კათედრა. ეს იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სისტემაში ეკოლოგიის კათედრის დაარსების და სპეციალობა „მცენარეთა ეკოლოგიის“ სწავლების დანერგვის პირველი პრეცედენტი. კათედრის დამაარსებელი და მისი პირველი გამგე გახლდათ ცნობილი მეცნიერ-ეკოლოგი, მეტად მჭევრმეტყველი ლექტორ-მასწავლებელი, დოცენტი მამია ხარებავა. მანვე პირველად შექმნა სახელმძღვანელო მცენარეთა ეკოლოგიაში, რომლის ანალოგი მაშინდელ უმაღლესი განათლების სისტემაში არ იყო. ამ ნაშრომის საფუძველზე მამია ხარებავამ დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რის შემდეგაც ის აირჩიეს პროფესორად, შემდგომ, სიცოცხლის ბოლომდე ის იყო საქართველოს სუბტროპიკული მეცნიერების ინსტიტუტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტის დეკანი.

პროფ. მამია ხარებავა გახლდათ ერუდიტი, ენციკლოპედიური განათლების მქონე ადამიანი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი. მისი მომთხოვნელობა შეზავებული იყო უანგარო თანადგომასთან და სიკეთის კეთებასთან. იგი მოწოდებით პედაგოგი იყო. მისი ლექციები გამოირჩეოდა ორიგინალობით, თხრობის თავისებური მანერით, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ კურსდამთავრებულთა თაობები სიყვარულითა და მოწიწებით იხსენებდნენ გამორჩეული ლექტორის ძალისხმევას, პროფესიონალ სპეციალისტებად მათი ჩამოყალიბების საქმეში.

არიან ჩუმი და უანგრო მოღვაწენი, რომელთა ცხოვრებას არ სჭირდება შელამაზება. საკმარისია, აღინიშნოს პიროვნების ნაღდი ღვაწლი და მაშინვე წარმოჩინდება მათი მომხიბვლელობა. ასეთი გამორჩეული ადამიანი გახლდათ პროფესორი მამია ხარებვა, რომელსაც მეცნიერისა და პედაგოგის ეთიკური კოდექსი არასოდეს დაურღვევია.

ყველაფერი მისი სამაგალითო ოჯახიდან მოდიოდა. ეს იყო პროფესორ მამია ხარებავასა და უსათნოესი ქალბატონის ქსენია ცანავას შესანიშნავი ოჯახი. ქსენია ცანავამ, განათლების პედაგოგმა, მთელი თავისი ცხოვრება შეალია ოჯახის დიასახლისობას და ოთხი შვილის ლენგის, ლუიზას, ლალის და ლონდას აღზრდას.

* * *

**ლენგი ხარებავა დაიბადა 1938 წლის 15 დეკემბერს აბაშაში, სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა 1956 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე. 1961 წელს წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და ასპირანტი გახდა. მან ირწმუნა საკუთარი თავის ძალა, მასში შემოქმედის გენი უფრო იყო, ვიდრე შემსრულებლისა. ასპირანტურაში სწავლის წლები გაიარა ქ. მოსკოვში ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ეს იყო მისთვის უდიდესი სკოლა, სადაც მეცნიერად და მოაზროვნედ ჩამოყალიბდა.**

ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკად. მ. ბოკუჩავა, რომლის დაკვირვებითა და ხელმძვანელობით, ბატონმა ლენგიმ ბევრი რამ შეძლო. სწორედ ბოკუჩავასთან თანაავტორობით გამოაქვეყნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი.

1965 წელს ლენგი იცავს დისერტაციას და ენიჭება ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, რომლის შემდეგ ის ბრუნდება საქართველოში და მუშაობას აგრძელებს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც ეკავა უმცროსი, შემდეგ კი უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობა. 1968 წლიდან ის სამუშაოდ გადადის სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც მას მალევე ირჩევენ დოცენტად.

1974 წელს ბატონი ლენგი მთავრობის დადგენილებით გადაჰყავთ ოჩამჩირის რაიონის ჩაის ფაბრიკების გაერთიანების გენერალურ დირექტორად. 1980 წლიდან მას აწინაურებენ და ნიშნავენ ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მმართველის მოადგილედ, შემდეგ კი პირველ მოადგილედ. 1988 წლიდან ტრესტი გადაკეთდა საქართველოს ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტად, რომლის თავმჯდომარედ ინიშნება ლენგი ხარებავა. 1995 წლიდან გარდაცვალებამდე ის იყო კომპანია „მარტინ ბაუერის“ მთავარი ტექნოლოგი.

ასე გაიარა ბატონმა ლენგიმ ღირსეული გზა მეცნიერისა და ხელმძღვანელ-მენეჯერისა და ჩამოყალიბდა, როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი ჩაის გადამუშავების დარგში. მან შექმნა 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც გამოქვეყნებული იყო როგორც საზღვარგარეთ, ასევე ჩვენს სამეცნიერო ჟურნალებში. მას მიღებული ჰქონდა 20-მდე საავტორო მოწმობა გამოგონებაზე, რომელთა უმრავლესობა დანერგილი იყო წარმოებაში პროფ. ვ. ფრუიძესთან ერთად.

მაშინდელ საბჭოთა კავშირში, წალენჯიხის N1 ფაბრიკაში (დირექტორი გ. სალია), დანერგილი იქნა ხსნადი ჩაის წარმოების ტექნოლოგია, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ბატონი ლენგის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთ პრიორიტეტად.

სამეურნეო სამსახურში ყოფნისას მას არ შეუწყვეტია მეცნიერული საქმიანობა, აქვეყნებდა შრომებს, რომლებშიც გამოკვეთილი იყო მთელი რიგი ახალი მიმართულებები ჩაის ფოთლის გადამუშავების პრობლემებზე. მონაწილეობდა სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებში, ღებულობდა საავტორო მოწმობებს გამოგონებებზე.

ძნელია წარსულში ისაუბრო ისეთ ადამიანზე, როგორიც იყო ლენგი ხარებავა. ასეთი კოლორიტული პიროვნებები იშვიათად იბადებიან, მაგრამ გარკვეულ კვალს ტოვებენ არა მარტო ნათესავებსა და მეგობრებში, არამედ მთელ საზოგადოებაში. ღრმა ცოდნისა და კრეატიული აზროვნების წყალობით, ის მუდამ ავლენდა დროის გამოწვევებით განპირობებულ სიტუაციაში ადეკვატური მოქმედების უნარს და თავისი ცხოვრების წესით ყოველთვის დროის მხარდამხარ იღვწოდა. ეს კარგად გამოჩნდა გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეობისას. განსაკუთრებით იქ გამოჩნდა მისი პრინციპულობა, პროფესიონალიზმი, საქვეყნო საქმისადმი ერთგულება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ჩაის წარმოების ზრდა და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება. მან მუშაობის საკუთარი სტილით დაადასტურა, რომ დიდი ერუდიციის მოღვაწედ ჩამოყალიბდა.

ბატონ ლენგის ინტელექტუალური ოჯახი ჰქონდა თავისი სათნო და კეთილშობილ მეუღლესთან, ქალბატონ ციცოსთან, ვაჟიშვილებთან – მამია და დათა, ქალიშვილ ანასთან ერთად. ლენგის შვილებთან მუდამ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. არასოდეს აუმაღლებია ხმა, აგვარებდა ურთიერთობას, პატივს სცემდა მათ.

ბატონმა ლენგიმ იცხოვრა და იმოღვაწა დროში, რომელიც აღსავსე იყო სირთულეებითაც და სიკეთე-ერთგულებითაც. მან ყველა ეტაპი განვლო ისე, რომ ადამიანური გრძნობის, ღირსების, ქართველობის, არც მეცნიერული და არც საზოგადოებრივი მოვლენებისათვის არ უღალატია. ის სიცოცხლეს გააგრძელებს საკუთარ სამეცნიერო და საზოგადო ნაღვაწ-ნაამაგარში, რომელიც დაუტოვა თავის ქვეყანას, თავის ხალხს, როგორც წარუშლელი ხოვნის სიმბოლო.

* * *

**მამა-შვილი მამია და ლენგი ხარებავები აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვირის მკვიდრნი არიან, სადაც დღესაც დგას მათი სახლ-კარი.**

**ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამსახურებისთვის, ტყვირის მოსახლეობის თხოვნით, ამ სოფლის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას მიენიჭა მამა-შვილ ხარებავების სახელი.**

ყოველმხრივ ვალმოხდილი წავიდნენ ისინი ამ ქვეყნიდან, როგორც სულით წმინდა ადამიანები, ღირსეული მამულიშვილები. მათი განვლილი გზით ყოველთვის იამაყებენ ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები.

**თამაზ ცანავა,**
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი;
**გონელი სალია,**
კომბინატ „ლაზის“ დირექტორი.



# მესამე ქართველი

**ტოკიოს გრანდ სლემის პირველი საშეჯიბრო დღე შედეგიანი გამოდგა და საქართველომ სამი მედალი მოიპოვა – ილია სულამანიძე ოქროს მფლობელია, გიორგი ჯაბნიაშვილმა და ეთერ ლიპარტელიანმა კი ბრინჯაო დაისაკუთრეს.**

100 კგ წონით კატეგორიაში სულამანიძემ ჯერ სამხრეთკორეელ იუიეოპ ანს აჯობა, შემდეგ რუსი ნიაზ ბილალოვი დაამარცხა, ნახევარფინალში კიდევ ერთი რუსი, მატვეი კანიკოვსკი დაამარცხა, ხოლო ფინალში იაპონელ დოტა არაისთან მოიგო და ოქროს მედალი მოიპოვა.

სულამანიძე მესამე ქართველია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომელმაც ტოკიოს გრანდ სლემზე ოქროს მედალი დაისაკუთრა. მანამდე ეს **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (2015) და **ბექა ღვინიაშვილმა** (2019) მოახერხეს.



# ახლოა კენწერომდე

**ეტყობა, ბარსელონას მწვრთნელად ხავი პასკუალის დაბრუნებით კატალონიურ გრანდში ახალი ერა იწყება, რასაც ამ გუნდის ბოლოდროინდელი შედეგებიც მოწმობს.**

ეს განსაკუთრებით საკალათბურთო ევროლიგაზე ითქმის, სადაც მე-14 ტურში **თორნიკე შენგელიას** კლუბმა ბელგრადში ცრვენა ზვეზდა 89:79 წააქცია და ლიდერ ჰაპოელს ერთი მოგებითღა ჩამორჩება. ჯვაროსანთა კაპიტანმა მატჩი მისაღები 15 ქულით, 5 მოხსნითა და 1 ასისტით დაასრულა.

# მეორედ – ამერიკაში

**გაისად მექსიკა მე-3 უმასპინძლებს მუნდიალს, აშშ – მეორედ და კანადა – პირველად. გახსნის მატჩი 11 ივნისს მეხიკოს აცტეკაზე გაიმართება, ფინალი კი 19 ივლისს ნიუ ჯერსიშია დანიშნული.**

მსოფლიოს 23-ე საფეხბურთო ჩემპიონატის წილსყრის საზეიმო ცერემონია ანდრეა ბოჩელის ცნობილი ჰიტით დაიწყო, ხოლო მოგვიანებით სცენა რობინ უილიამსმა და შოუ ბიზნესის სხვა ვარსკვლავებმა დაიკავეს, თუმცა თანდათან უმთავრესი ღონისძიების დროც დადგა და სიმღერა ერთგვარმა ლატარეამ ჩაანაცვლა. მაშ ასე, გთავაზობთ ვაშინგტონში განვითარებული ელიტური მოვლენების თავისებურ კარდიოგრამას:

ორსაათიან სანახაობას უძღვებიან **ჰაიდი კლუმი** და **კევინ ჰარტი.**

ფიფას თავკაცი **ჯანი ინფანტინო** პრეზიდენტ **დონალდ ტრამპს** ფიფას სპეციალური თასით აჯილდოებს მომავალი ტურნირის ორგანიზებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

მოახლოებული ფორუმის მიმღები სამივე სახელმწიფოს მეთაურმა პირადად მიუჩინა საკუთარი სამშობლოს ნაკრებებს ადგილი კონკრეტულ ჯგუფებში.

და, როგორც იქნა, უშუალოდ 48 რჩეულის ბედის განსაზღვრის დროც დგება, საიდანაც ჯერჯერობით ცნობილია 42, დანარჩენი 6 ვინაობას კი პლეი-ოფები გაარკვევს.

ბურთულების ამოსაღებად კალათებთან მიდიან ტელეწამყვანი **სამანტა ჯონსონი, უეინ გრეცკი, შაკილ ონილი, ტომ ბრეიდი, აარონ ჯადსი, რიო ფერდინანდი** და ასეთი განაჩენი გამოაქვთ:

**ა ჯგუფი** – მექსიკა, სამხრეთ კორეა, სამხრეთ აფრიკა და ევროპული პლეი-ოფი.

**ბ ჯგუფი** – კანადა, ევროპული პლეი-ოფი, კატარი, შვეიცარია.



**გ ჯგუფი** – ბრაზილია, მაროკო, ჰაიტი, შოტლანდია.

**დ ჯგუფი** – აშშ, პარაგვაი, ავსტრალია, ევროპული პლეი-ოფი.

**ე ჯგუფი** – გერმანია, კიურასაო, კოტ დივუარი, ეკვადორი.

**ვ ჯგუფი** – ნიდერლანდები, იაპონია, ევროპული პლეი-ოფი, ტუნისი.

**ზ ჯგუფი** – ბელგია, ეგვიპტე, ირანი, ახალი ზელანდია.

**თ ჯგუფი** – ესპანეთი, კაბო ვერდე, საუდის არაბეთი, ურუგვაი.

**ი ჯგუფი** – საფრანგეთი, სენეგალი, ინტერკონტინენტალის პლეი-ოფი, ნორვეგია.

**კ ჯგუფი** – არგენტინა, ალჟირი, ავსტრია, იორდანია.

**ლ ჯგუფი** – პორტუგალია, ინტერკონტინენტალის პლეი-ოფი, უზბეკეთი, კოლუმბია.

**მ ჯგუფი** – ინგლისი, ხორვატეთი, განა, პანამა.

დარწმუნებული ვარ, გაიფიქრეთ – ჩვენც ხომ შეგვეძლო ოკეანის გაღმა ბურთის გაგორება? დიახ, და ეს დროც მოვა – თბილისის დინამომ უეფას ჩემპიონთა ლიგის ახალგაზრდული ტურნირის პირველი ფინალური მატჩი მინსკელ თანაკლუბელებს 2:0 მოუგო **(დოლტმურზიევი, გვასალია).**

საერთაშორისო სანქციების გამო ბელარუსებს ზეგ საპასუხო შეხვედრაშიც ვუმასპინძლებთ და, იმედია, პირველად შევაბიჯებთ მომავლის ელიტაში.

ამასობაში მომხდარი სხვა ქართული ამბებიც არანაკლებ მნიშვნელოვნად გვესახება. კერძოდ, იბერიამ გაგრას 2:1 მოუგო **(ჭინჭოლავა, მამაგეიშვილი)** და ზედიზედ მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი, ხოლო ჯვაროსანმა ლეგიონერებმა მორიგი გოლებით აღნიშნეს უქმეები:

**ლიგა 1.** პსჟ – რენი 5:0 (**კვარაცხელია** – დუბლი).

**ლა ლიგა.** ვილიარეალი – ხეტაფე 2:0 (**მიქაუტაძე** – გოლი).

და ბოლოს – ისევ აშშ, სადაც **მესის** ინტერ მაიამიმ ისტორიაში პირველად მოიპოვა მლს-ს თასი.

# მამის, სამშობლოსა და ფეხბურთის სადიდებელი

**„ვუძღვნი მამაჩემის ხსოვნას. ნაკრების ევროზე გასვლით ერთად გავიხარეთ, ამ წიგნს კი ვეღარ მოუსწრო“** – წერს წინასიტყვაობაში **ლაშა გოდუაძე.**

ზაფხულის ტკბილი სიზმარი დაურქმევია ავტორს ქართული სანაკრებო ფეხბურთის შარშანდელი დიდგორისთვის და, როგორც სჩვევია, მოვლენათა ეპიცენტრიდან ისეთი ჯიგრიანი რეცენზიები აუკინძავს მთლიან კრებულად, თავი გერმანიის სტადიონებზე გეგონება.

აქამდე ყველა თავს ვიტყუებდით, როცა სხვა გუნდების წარმატებებით ვხარობდით. დამიჯერეთ – არაფერი შეედრება პატარა ქართულ სიხარულებს – გულს გვიშლის ისტორიული ფაქტის უშუალო თანამონაწილე, ვის ბიოგრაფიაშიც საიუბილეო – მე-10 კონტინენტური ფორუმი ჯვაროსანთა უდიდესმა მიღწევამ დაამშვენა. სხვათა შორის, იმავე ქვეყანამ უმასპინძლა თურმე 1988 წლის ზაფხულში ჯერაც სოფელში ბაბუასთან ერთად ტელევიზორთან მოკალათებული მოზარდის მეხსიერებაში ჩაბეჭდილ პირველ მსგავს ვარსკვლავთცვენას.




მოკლედ, გულშემატკივარს, ვინც აღნიშნული რელიქვიის შეძენას მოახერხებს, უსაზღვრო სიამაყე და სიამოვნება ელის, ინტერესის გასაღვივებლად და სარეპეტიციოდ კი რამდენიმე პასაჟს გთავაზობთ უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მხარდაჭერით გამოცემული ნაღვაწის ფურცლებიდან (რედაქტორი – **ეკატერინე თევზაძე**, დამკაბადონებელი – **ზაზა ასანიშვილი**, სტილი და კორექტურა **– მარი ჯავახიშვილი**. ევროპის ჩემპიონატზე მივლინების დროს გამოჩენილი თანადგომისთვის ავტორი მადლობას უხდის საქართველოს სპორტის სამინისტროს და სსჟა-ს):

აქამდე მუნდიალის 8 და ევროპის 7 საკვალიფიკაციო ეტაპზე გვითამაშია ასეთი ბალანსით: 283 მატჩი, 91 მოგება და 343-ე გატანილი ბურთი თურქეთთან **(მიქაუტაძე).**

ჩეხეთი 72-ე ევროპული სახელმწიფოა, ვისაც შევხვდით და დაგვრჩა მხოლოდ ბელგია და სან-მარინო.

2008 წლის 31 მაისს, როცა პორტუგალიას სტუმრად ამხანაგურად პირველად ვეთამაშეთ (0:2), **რონალდუმ** ეროვნული ნაკრების მაისურით 55-ე მატჩი ჩაატარა, შარშან გერმანიაში კი – 210-ე(!).

და ბოლოს: ლაშა გოდუაძეს მომავლის კაპიტნად **გიორგი ქოჩორაშვილი** მიაჩნია!



# ნუგეშის ტაიმი

**„შავმა ლომმა“ 2025/26 წლების ჩელენჯ თასის პირველ მატჩში, „მონპელიესთან“ პირველ ტაიმში მოპოვებული 13-ქულიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და შეხვედრა 13:24 დათმო.**

„ავჭალაზე“ შეკრებილმა მაყურებელმა ორი განსხვავებული ტაიმი იხილა. პირველ ნახევარში მასპინძლები კარგად გამოიყურებოდნენ, შეცდომები მინიმუმამდე ჰქონდათ დაყვანილი და სრულიად დამსახურებულად, 13:0 დაწინაურდნენ. შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა, მეტოქე ინიციატივას დაეუფლა და 4 გატანილი ლელოთი 24:13 გაიმარჯვა.

„შავი ლომი“ მომავალ კვირაში ირლანდიაში გაემგზავრება და 14 დეკემბერს „ქონოთს“ ჩვენი დროით ღამის 12 საათზე შეერკინება.

# ალბათ, მალე დაიბრუნებს

**მერაბ დვალიშვილი UFC-ის სუპერმსუბუქი წონის ჩემპიონობისთვის გამართულ ბრძოლაში პიოტრ იანთან დამარცხდა და ტიტულს ახალი მფლობელი ჰყავს.**

შეხვედრა დაძაბულად დაიწყო, თუმცა მეორე რაუნდიდან იანი გააქტიურდა, მან დვალიშვილს დარტყმებში აჯობა და მისი თეიქდაუნების მცდელობებიც ეფექტურად აღკვეთა.



34 წლის დვალიშვილს ისტორიული შედეგის დაფიქსირება შეეძლო. ქართველი მანქანა გახდა პირველი მებრძოლი, რომელსაც ერთ წელიწადში ჩემპიონობის ქამარი სამჯერ ჰქონდა დაცული, ხოლო მეოთხე დაცვის განხორციელება ამ დრომდე არავის შეუსრულებია.

მერაბ დვალიშვილს MMA-ში ჩატარებული 26 ბრძოლის შემდეგ 21 გამარჯვება დაუგროვდა. მან გუშინვე გამოთქვა რევანშის სურვილი.

**სუს-ის ხელმძღვანელის მოადგილის ლაშა მაღრაძის განცხადებით, „ბიბისის“ სიუჟეტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებისთვის საინტერესო პირებიდან ვერ მოხერხდა ერთადერთი მოწმის ლაშა შერგელაშვილის გამოკითხვა.**

**როგორც მაღრაძემ სუს-ში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სწორედ ლაშა შერგელაშვილის ინფორმაციასაც მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა „ბიბისის“ მიერ მომზადებული სიუჟეტის ავტორის მოსაზრებები.**



# სრული და მიზანდასახული დეზინფორმაცია

**„საყურადღებო გარემოებაა, რომ აღნიშნული პირის მიმართ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები, ახლო წარსულში ერთ-ერთ რეზონანსულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ბრალდებულ ბექა ჭულუხაძის მიერ ცეცხლსასროლი იარაღებისა და საბრძოლო მასალის, მათ შორის ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილის შეძენა-შენახვის ფაქტს.**

**საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ამ საქმეზე ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა მიმდინარე წლის 4 ოქტომბრის ცნობილი მოვლენების პარალელურად.**

**გამოძიება ინტენსიურად მუშაობს ვერსიაზე, რომლის მიხედვითაც, უკრაინის სპეცსამსახურებში კონტრაქტით დასაქმებულმა ლაშა შერგელაშვილმა 4 ოქტომბრამდე რამდენიმე დღით ადრე შეუკვეთა ბექა ჭულუხაძეს ზემოთ აღნიშნული საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მოწყობილობების შეძენა და გადამალვა თბილისის მახლობლად. შერგელაშვილი ამჟამად იმყოფება უკრაინაში.**

**ამრიგად, გამოძიების მიერ მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები გვაძლევს დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ „ბიბისის“ ფილმში გახმოვანებული ინფორმაციები საქართველოში ე.წ. ქიმიური იარაღი „კამიტის“ მომიტინგეთა წინააღმდეგ გამოყენების შესახებ არის სრული და მიზანმიმართული დეზინფორმაცია და ემსახურება საქართველოს ინტერესების დაზიანებას, რაშიც, სამწუხაროდ, საქართველოს მოქალაქეებიც არიან ჩართულები და „ბიბისის“ ფილმის ავტორებთან ერთად მათი მოქმედებები ატარებს კარგად დაგეგმილ, ორგანიზებულ და კამპანიურ ხასიათს საქართველოს წინააღმდეგ კონკრეტული მტრული მიზნების მისაღწევად“**, – განაცხადა ლაშა მაღრაძემ.

მისივე თქმით, ვინაიდან გამოძიების მიერ დეტალურად გამოსაკვლევი ორი მიმართულებიდან ერთ-ერთთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა პოლიციის მიერ წინა საუკუნის 30-იან წლებში აკრძალული ნივთიერების „კამიტის“ გამოყენების გამოგონილ ფაქტს, საგამოძიებო მოქმედებები ამოწურულია, თუმცა სუს-ი აგრძელებს გამოძიებას იმ შესაძლო დანაშაულის შესახებ, რაც უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარებას გულისხმობს.

# ჩერნობილი – კვლავ დამოკლეს მახვილი ევროპის თავზე

**ჩერნობილის დაბომბილი დამცავი კონსტრუქცია რადიაციას ვეღარ ბლოკავს და სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს,** – ამის შესახებ ინფორმაციას **„გარდიანი“ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოზე (IAEA) დაყრდნობით ავრცელებს.**

სააგენტოს განცხადებით, გასულ კვირას ჩატარებულმა ინსპექციამ დაადგინა, რომ **1.5 მილიარდი ევროს ღირებულების ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის დამცავი კონსტრუქცია, რომელიც 1986 წელს აფეთქებული მე-4 რეაქტორის ნაშთების შესაკავებლად აშენდა, თებერვალში დრონით დარტყმის შედეგად დაზიანებულია და ვეღარ ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას, რაც რადიაციის შეკავებას გულისხმობს.**

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური დირექტორის, **რაფაელ გროსის** განცხადებით, **დამცავმა კონსტრუქციამ ძირითადი უსაფრთხოების ფუნქციები დაკარგა, თუმცა, მისივე განმარტებით, მონიტორინგის სისტემებს მუდმივი დაზიანება არ მიუღიათ.**

**ცნობისთვის, 14 თებერვალს გაერომ უკრაინის ხელისუფლებაზე დაყრდნობით განაცხადა, რომ დრონით თავდასხმის შედეგად მეოთხე რეაქტორის დამცავ კონსტრუქციას ცეცხლი გაუჩნდა. უკრაინის მტკიცებით, დრონი რუსულმა ძალებმა გაუშვეს. თუმცა, მოსკოვმა ელექტროსადგურზე თავდასხმა უარყო. როგორც თებერვალში გაეროში განაცხადეს, რადიაციის დონე ნორმალური და სტაბილურია და რადიაციის გაჟონვის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.**



# ერთი დღის კრიმინალური ქრონიკა



**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლების მიერ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული მასშტაბური ანტიკორუფციული ღონისძიების შედეგად ექვს სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოვლენილ კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებით, სასამართლოს განჩინებების საფუძველზე, დაკავებულია ხუთი პირი,** – ამის შესახებ სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს დირექტორმა **ემზარ გაგნიძემ ბრიფინგზე განაცხადა. მისივე თქმით, ჯამში, პასუხისგებაში მიეცა 14 ადამიანი.**

## თაღლითები და მექრთამეები

**„პირველი:** მარნეულში ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულია მარნეულის მეოთხე საჯარო სკოლის მოქმედი დირექტორი, რომელმაც ატესტატის გაცემისთვის საჭირო გამოცდების ვითომდა ჩაბარების სანაცვლოდ ერთ-ერთ მოქალაქეს ქრთამის სახით 300 აშშ დოლარი გამოართვა. დანაშაული სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს;

**მეორე:** ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე დაკავებულია შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი, რომელმაც, საცხოვრებელ სახლზე ადრე გაცემული გეოლოგიური დასკვნის ჩანაცვლების გზით, ეკომიგრანტთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამით გათვალისწინებული 50 000-ლარიანი თანადაფინანსების მისაღებად საჭირო ახალი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის დამზადების სანაცვლოდ, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს გეოლოგიური სამსახურის უფროსისთვის გადასაცემად, ერთ-ერთ მოქალაქეს მოსთხოვა 3 000 ლარი, საიდანაც წინასწარ გამოართვა 1 500 ლარი, ხოლო დარჩენილი 1 500 ლარის გადაცემა მოითხოვა დასკვნის მომზადების შემდეგ. რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს;

**მესამე:** თბილისსა და საგარეჯოში ყალბი დოკუმენტის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე სამი მოქალაქეა დაკავებული. გამოძიებით დადგენილია, რომ შპს „ჰორიზონტი 23“-ის დირექტორმა დიდი ოდენობით თანხის დაუფლების მიზნით შპს „არქიტრავს“ ფიქტიურად მიაღებინა მონაწილეობა ტენდერში და მერიასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სამუშაო მთლიანად შეასრულა შპს „ჰორიზონტი 23“-მა. ამავე დროს, შპს „ინსპექტას“ ზედამხედველმა პირებმა სამუშაოებზე გასცეს ყალბი ინსპექტირების ანგარიში, რის შედეგადაც მოხდა 89 727 ლარის თაღლითურად დაუფლება. თაღლითობა სასჯელის სახით ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**მეოთხე:** ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცნენ შპს „ლოგის“ დირექტორი, შპს „ს.კ. 2000“-ის დირექტორი და ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ ტექნიკური ზედამხედველი. თბილისის, გლდანის რაიონის გამგეობასა და შპს „ლოგის“ შორის, 2023 წლის 3 აპრილს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება „მუხიანი 2“-ის დასახლებაში, სამეგრელოს ქუჩის კანალიზაციის გარე ქსელის მოწყობასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე, ღირებულებით 572 907 ლარი. აღნიშნული სამუშაოების კონტროლი დაევალა „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ წყალსადენ კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელების ტექნიკურ ზედამხედველ პირს. შპს „ლოგი“-ს დირექტორმა შპს „ს.კ. 2000“-ის დირექტორთან ერთად დაამზადა ყალბი დოკუმენტები, თითქოსდა, 3 738 კუბური მეტრი მოჭრილი გრუნტი 178 რეისად გატანილი იქნა 12 კილომეტრის მანძილზე მდებარე ლიცენზირებულ ნაგავსაყრელზე, რაც სინამდვილეში შპს „ლოგის“ მიერ არ განხორციელებულა და მოჭრილი გრუნტი გადაყარეს სამუშაოების განხორციელების ადგილას მდებარე ხევში. გრუნტის გატანის და განთავსების შესახებ ყალბი დოკუმენტაცია წარადგინეს თბილისის მუნიციპალურ ლაბორატორიაში, სადაც ზედამხედველის მიერ შედგა ყალბი აქტი, რომელშიც მითითებული იყო, რომ 3 738 კუბური მეტრი მოჭრილი მიწა თითქოსდა გაიტანეს ლიცენზირებულ ნაგავსაყრელზე, აღნიშნული ყალბი მონაცემები ასახეს შესრულებული სამუშაოს აქტებში – ფორმა N2, რის საფუძველზეც შპს „ლოგის“ გლდანის რაიონის გამგეობიდან ჩაერიცხა 104 290 ლარი. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება სასჯელის სახით 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს;

**მეხუთე საქმე:** ქრთამის აღების ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიეცა აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს აპარატის ყოფილი თანამშრომელი, რომელმაც ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირსა და თამარ მეფის ქუჩის მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ორი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის სანაცვლოდ, ერთ-ერთ მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვა 3 000 ლარი, საიდანაც ეტაპობრივად გამოართვა 2 000 ლარი. დანაშაული სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს;

**ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებთან მიმართებით გამოძიების ფარგლებში, სასამართლოს განჩინებების საფუძველზე, განხორციელდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც მოპოვებულია აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ამსახველი აუდიო და ვიდეომტკიცებულებები.**

# თბილისის აეროპორტიდან მეხუთმილიონე მგზავრი გაფრინდა

**თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა 5 000 000-ე მგზავრს უმასპინძლა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ამ აეროპორტისა და ზოგადად, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ისტორიაში.**

მეხუთმილიონე მგზავრი საფრანგეთის მოქალაქე პიერ ზერეტი იყო, რომელიც თბილისიდან პარიზის მიმართულებით გაფრინდა. თბილისისა და ბათუმის აეროპორტების მმართველი კომპანიის, ტავ ჯორჯიას ორგანიზებით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ამ მგზავრის დაჯილდოების სიმბოლური ღონისძიება გაიმართა.




**მგზავრთნაკადის მხრივ წელს რეკორდული მაჩვენებლებია როგორც თბილისის, ასევე ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში. ტავ ჯორჯიას გათვლებით, 2025 წელს თბილისისა და ბათუმის აეროპორტები 6,6 მილიონი მგზავრით დახურავენ. 11 თვის მონაცემებით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თბილისში ზრდა 13%-ია, ხოლო ბათუმში 30%. ტავ ჯორჯიას მართვაში არსებული ორივე აეროპორტი ამ 2025 წლის 11 თვის განმავლობაში ჯამში 6 147 000-ზე მეტ მგზავრს მოემსახურა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის რეკორდული იყო 12 აგვისტო, როცა მან მიიღო და გააცილა ჯამში 97 რეისი – 21 959 მგზავრით. ბათუმისთვის კი რეკორდული იყო 24 აგვისტო, როცა აეროპორტმა მიიღო და გააცილა 35 რეისი და მოემსახურა 8 446 მგზავრს.**

ტავ ჯორჯიამ საქართველოში ოპერირება 2005 წელს დაიწყო და მას შემდეგ ააშენა და განავითარა ქვეყნის ორი საერთაშორისო აეროპორტი თბილისსა და ბათუმში.

**დღეისთვის კომპანიას დასაქმებული ჰყავს 1900-ზე მეტი ადამიანი. 20 წლის განმავლობაში ტავ ჯორჯიას ინვესტიციამ უკვე გადააჭარბა 230 მლნ აშშ დოლარს.**




# საერთაშორისო აღიარების მქონე მუსიკოსები კონსერვატორიის სცენაზე

**შაბათს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ქართველ მუსიკოს-შემსრულებელთა გალაკონცერტი გაიმართა.**

კონცერტში მონაწილეობნენ საერთაშორისო აღიარების მქონე ქართველი ოპერის მომღერლები:

სოპრანო, **სალომე ჯიქია** (მილანის ლა სკალა, ინგლისის სამეფო ოპერა) და მეცო სოპრანო, **ნანა ძიძიგური** (ბაიროითის ფესტივალი, ციურიხის ოპერა).

მათ შემოქმედებითი პარტნიორობა გაუწია ცნობილმა ქართველმა პიანისტმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულმა პროფესორმა **ნათია ქავთარაძემ**.

# ედიშერ და გიორგი (გიგი) გარაყანიძეების სახელობის ახალი სტიპენდიატები

**ედიშერ და გიორგი გარაყანიძეების სახელობის სტიპენდია ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებლის ვანო ჩხარტიშვილის ინიციატივით 2016 წელს დაარსდა და ყოველწლიურად გადაეცემა თბილისის სახელმწიფო**



**კონსერვატორიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური მოსწრებისა და აქტიური სამეცნიერო ცხოვრების მქონე სტუდენტებს.**

სტიპენდიის გადაცემის ღონისძიებას გალობის უნივერსიტეტმა უმასპინძლა. წლევანდელი სტიპენდიატები ფონდის დამფუძნებელმა და გალობის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, **ნანა გოთუამ** დააჯილდოვა.

**ნინო თავაძე** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი;

**შატო კუბათაშვილი** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრანტი;

**გიორგი ვახტანგაშვილი** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;

**ანა თანდილაშვილი** – გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

# ქართველები „მარია კალასს“ ინდოელებს წარუდგენენ




**9 და 12 დეკემბერს ინდოეთში რუსთაველის ეროვნული თეატრის გასტროლი გაიმართება სპექტაკლით – „მარია კალასი. გაკვეთილი“ (ტერენს მაკნელი). გამოყენებულია ინგლისური სუბტიტრები.**

რუსთაველის ეროვნული თეატრის ინფორმაციით, სცენური ვერსიის ავტორები არიან – **რობერტ სტურუა** და **ნინო კანტიძე**; რეჟისორი – **რობერტ სტურუა**; თარგმნა – **მანანა ანთაძემ.** მონაწილეობენ: **ლელა ალიბეგაშვილი, დავით დარჩია, მარიტა მესხორაძე, არჩილ გოგიტიძე, ქეთი სვანიძე, დავით უფლისაშვილი.**

სპექტაკლში გამოყენებულია: **ვერდის, ბელინის, პუჩინის, ბეთჰოვენისა** და **გია ყანჩელის** მუსიკა.

**გასტროლი ხორციელდება საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით.**

# „ევროვიზიაში“ ისრაელის მონაწილეობამ რამდენიმე ქვეყანა აღაშფოთა

**ევროპის მაუწყებელთა კავშირმა (EBU) ისრაელს 2026 წლის „ევროვიზიაში“ მონაწილეობის უფლება მისცა. გადაწყვეტილება ჟენევაში, კავშირის გენერალური ასამბლეის კრებაზე მიიღეს.**

თუმცა ამას რამდენიმე ქვეყნის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. კერძოდ, ესპანეთმა, ნიდერლანდებმა, ირლანდიამ და სლოვენიამ 2026 წლის კონკურსში მონაწილეობაზე უარი თქვეს.

ისრაელის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ყველა ქვეყანას, რომელმაც „ევროვიზიის“ კონკურსში მონაწილეობისთვის ისრაელის სასარგებლოდ ხმა მისცა. 2026 წელს „ევროვიზია“ ვენაში ჩატარდება.




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოგულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოგულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოზეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
uac(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 10 დეკემბერს**